დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია მამისეიშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი

წევრები:

1.ლევან ღურწკაია --ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი

2. შორენა გაგუა -- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

3.გოგი ლატარია- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

4.ინგა გოგალაძე--უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

5.ხათუნა კალმახელიძე-ესთეტიკური აღზრის საგნობრივი ექსპერეტი

6.ნადია დაბრუნდაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

7.თამარ მახარაძე-ხოხიაშვილი--სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

8. ირმა შველიძე--მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

9.ალექსანდრე ჩახნაშვილი-- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

10.ქეთევან ცირეკიძე--ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები სახელწოდება	სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235444104

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო
იურიდიული მისამართი	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო
ფაქტობრივი მისამართი	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალხინო
საფოსტო ინდექსი	3120
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	marSalkhino@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577299452

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერ და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ერონულ ცენტრის 04.09.2023წ-ის ბრძანება - MES 8 23 0001075708
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 სექტემბერი 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელები ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის დ ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინო
	საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინო
	საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ

	პროგრამა			სალხინო

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიე განსაზღვრული მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიე მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ- ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა რამდენიმე მიმართულების მიხედვით საუკეთესო გამოცდილების სკოლაა, კერძოდ: არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს ეკო-კლუბი ,,სალხინო“, რომელიც ჩართულია ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის კონკურში და არის ნახევარფინალისტი. ასევე სკოლის სამოქალაქო კლუბი ჩართულია USAID- სამოქალაქო განათლების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც მცირე საგრანტო პროექტების განხორციელებისას აქტიურად ჩართო მოსწავლეები ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, ,, არასრულწლოვანთა დანაშაული და პრევენცია“ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“--აღნიშნულ პროექტებში. სკოლაში ფუნქციონირებს წრე, სადაც მოსწავლეები სწავლობენ ,,ჯვრულით ქარგვას“. პროფესიული პროგრამებით დაინტერესების მიზნით სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე დაწესებულებასთან, კერძოდ, სოფელ ტალერში არსებულ ქარხანა ,,ალებურთან“, მარტვილის იუსტიციის სახლთან, ადგილობრივ

მეფუტკრე ფერმერებთან, სენაკის კადეტთა ლიცეუმთან. სკოლას აქვს გამოცდილება სხვადასხვა ასპარეზზე მოსწავლეთა მონაწილეობისა. საერთაშორისო სტაჟირების უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ კონფერენციაში ინგლისურ ენაზე მომხსენებლად წარსდგა მე-11 კლასის მოსწავლე აღნიშნული სკოლიდან. სკოლა 2022 წლის ფინალისტი გახდა ,,მწვანე ჯილდოს“ მოპოვების კონკურსში. სკოლას ჰყავს გამარჯვებულები სასკოლო ოლიმპიადებში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესები უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები დ ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:
300</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☒</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☐</td><td></td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

		•
		•
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესებ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა დ დაწესებულების მიერ დადგენილი პირობები შესაბამისად;	შესაბამისობის გეგმის საფუძველზ წარმოდგენილი სკოლის დირექტორის 202 წლის 3 ნოემბრის N2-91 ბრძანებით სკოლამ უზრუნველყო საინფორმაცი მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები **დროები** **დაეკისრებინა სხვა პირისათვის.**

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობი დადგენილი წესით განსაზღვრულ კვალიფიკაციის მქონე საინფორმაცი მენეჯერის მომსახურება.
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებ დაკავებულ თანამდებობას;	სკოლამ უზრუნველყო კანონმდებლობით დადგენილი წესი განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონ ექიმის მომსახურება შესაბამისობი გეგმით გათვალისწინებულ ვადებშ (06.11.2023-08.11.2023)
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორი საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს: • შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; • შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან საგანგებ სიტუაციებში მართვის გეგმი შეთანხმება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში(**06.11.2023-28.02**.2024-მდე)
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ აიყვანოს შრომი უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტი;
3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვას;	*სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტ სახით შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემ დაცვის წესი*
3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობი შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	*საქმისწარმოების წესის მიხედვი წარმოდგენილ დანართებს სასურველია თ ერთვოდეს შესაბამისი ბრძანების თარიღებიც.*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესი შეხედულებების, შესაძლებლობებისა დ პრიორიტეტების გათვალისწინები შესაძლებლობას;	მოცემულ დოკუმენტში სასურველ დაზუსტდეს და დეტალურად გაიწერო კურიკულუმის შემუშავების პროცესშ მშობელთა ჩართულობის გზები (გაიწერო კონკრეტული აქტივობები).
2.2.2.1.		სასურველია მუსიკის კურიკულუმებშ

	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნ ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენები გათავისებას საგნობრივ საკითხებზ დაყრდნობით	მიეთითოს კომპლექსური დავალებები ოპტიმალური რაოდენობა
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საბაზო საფეხური)**	*რჩევა*
2.1.2.1.	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლ გეგმი მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	*მათემატიკის კურიკულუმებში სასწავლ რესურსები გაიწეროს ყველა თემასთან*
2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნი სამ კატეგორიაზე (დეკლარატიულ პროცედურული და პირობისეული)	*უცხოურ ენებში სასურველია შეარჩიო აქტივობები მარტივიდან რთულისკ პრინციპით, რომლებიც ორიენტირებულ იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზ მაგალითები იხილეთ ინდიკატორის აღწერაშ*
2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითრებისა დ მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი	*კურიკულუმის განვითრებ მ,ეთოდოლოგიაში სასურველია დეტალურა ასახოთ მექანიზმები, თუ როგორ მოხდებ კურიკულუმის რევიზია.*
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საშუალო საფეხური)**	*რჩევა*
2.1.2.1.	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლ გეგმი მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	*მათემატიკის კურიკულუმებში სასწავლ რესურსები გაიწეროს ყველა თემასთან*
2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნი სამ კატეგორიაზე (დეკლარატიულ პროცედურული და პირობისეული)	*უცხოურ ენებში სასურველია შეარჩიო აქტივობები მარტივიდან რთულისკ პრინციპით, რომლებიც ორიენტირებულ იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზ მაგალითები იხილეთ ინდიკატორის აღწერაშ*
2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითრებისა დ მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი	*კურიკულუმის განვითრებ მეთოდოლოგიაში სასურველია დეტალურა ასახოთ მექანიზმები, თუ როგორ მოხდებ კურიკულუმის რევიზია.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:
რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" _ მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.1.2.3; 3.1.2.4. 3.4.1.1; ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით; ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N007044523 (მიღება-ჩაბარების აქტი N3007047123) , რომლითაც განისაზღვრა სკოლის შენობის მდგრადობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 9 სექტემბრის სხდომის ოქმი N8-ის საფუძველზე საბოლოო სახით ჩამოყალიბდა აღნიშნული დოკუმენტი. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა მისიად განსაზღვრავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან დაცული, უსაფრთხო გარემოს შექმნით შეძლოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა და სწავლების მაღალი დონის მიღწევა. სკოლის ხედვაა განსაზღვროს სკოლის ადგილი მარტო სასწავლო დაწესებულების რანგში, არამედ თემში, როგორც სოფლის სასწავლო- კულტურული და სათემო განვითარების ცენტრი, რომელმაც უნდა აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული თაობა და 2030 წლისათვის ამ მიმართულებით იყოს გამორჩეული მარტვილის მუნიციპალიტეტში. სასკოლო საზოგადოება თანხმდება ისეთ მნიშვნელოვან სასკოლო ღირებულებებზე, როგორებიცაა: თანამშრომლობა, გუნდურობა, ღიაობა, დემოკრატიული მართვა,უწყვეტი განვითარება.

ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციასთან და სამუშაო ჯგუფთან შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლამ არსებული რეალობის შესწავლით დაიწყო სკოლის საჭიროებების გამოკვეთა და შეხვედრები გამართა სასკოლო საზოგადოებასთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, რათა სწორად განესაზღვრა სამომვალო მიზნები და ჩამოეყალიბებინა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. საგნობრივი კათედრების ჩართულობითა და სკოლის სხვადასხვა რგოლის თანამონაწილეობით ჩამოყალიბდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების საბოლოო დოკუმენტი, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად შეთანხმდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

თავდაპირველად სკოლამ მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებისთანავე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გააზიარა მოსწავლეებთან და მშობლებთან და კლასის დამრიგებელთა მიერ შექმნილ მესენჯერ-ჯგუფებში მშობლებს ინფორმაცია მიაწოდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. სკოლამ საკუთარ ვებგვერდზე განათავსა აღნიშნული დოკუმენტები. სკოლის ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ: სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ მედიას, საჯარო ღონისძიებებს და ა.შ. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე- https://skolebi.emis.ge/schools/1632

სკოლამ ასევე ინფორმაცია გააზიარა სკოლის მოსწავლეთა მშობლების საკონტაქტო ჯგუფებში და სკოლის შენობაში, საინფორმაციო სივრცეში. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება N157/ნ-ის საფუძველზე ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448-ე ბრძანებაში და სკოლის სახელწოდება განისაზღვრა: **,,სსიპ-ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 9 სექტემბრის სხდმის ოქმი N8
- ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი.
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**
   სკოლას აქვს სკოლის დირექტორის მიერ მიმდინარე წლის ბრძანება N2-57-ის საფუძველზე დამტკიცებული დოკუმენტი ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია მმართველობითი პროცესისი-მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და დანერგვის ძირიტადი ეტაპები, პროცესზე პასუხისმნგებელი პირები, ჩართული მხარეები. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია ამ მიმართულებით საჭირო დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო წლიური გეგმის ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**
2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სკოლის ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიეკუთვნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების რიცხვს, რომელიც ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ, ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან/და შესაბამისი სამართლებრივიუ/ ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში. სკოლის მიერ შემუშავებულ 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და გამოკვეთილია სტრატეგიული მიმართულებები:

სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება და უწყვეტი განვითარება; სკოლის მართვის განვითარების სისტემის შექმნა და არაფორმალური და პროფესიული განვითარება. ამავე დოკუმენტში მოცემულია თითოეული სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად შემუშავებული ამოცანები. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერა ზოგადად რესურსების, მათ შორის ადამიანური რესურსების, პასუხისმგებელი პირების, სკოლის ინფრასტრუქტურული ნაწილისა და სხვ. საკითხების მიმოხილვა ძალიან ზოგადია. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

   სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 5 სექტემბრით დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც უფრო დეტალურადაა გადმოცემული წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. სკოლა,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ცალკე თავს უთმობს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გზებს და აღნიშნავს, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2 გზა არსებობს: I ალტერნატივა - სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილსა და საქაღალდეს, სადაც გროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს დირექტორსა და სამუშაო ჯგუფის წევრებს, საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებსაც დირექტორის თანხმობით. II ალტერნატივა-- სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პ/პირები სამუშაო ჯგუფის თავ-რესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ მოცემულია სკოლის დოკუმენტაციის შემუშავების, სკოლის ორგანიზაციული განვითარების შესახებ საკითხები. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც განსაზღვრულია შესასრულებელი საკითხები, პ/პირები, ვადები, შესრულების ინდიკატორები და გადამოწმების წყარო. მიმართულებები გამოკვეთილია და მოიცავს ორგანიზაციულ საკითხებს, სკოლის მმართველობას, სასწავლო პროცესს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებს, არაფორმალურ განათლებას,უსაფრთხოებასა და მშობელთა ჩართულობას. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შესრულებას. მსგავსი ტიპის ცხრილი წარმოდგენილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არ არის წარმოდგენილი 7 წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- სკოლის 2023-2024 ს.წ. სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;** სკოლის დირექტორის მიმდინარე წლის ბრძანება N2-57-ის საფუძველზე შემუშავებულია ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომლის მე-12 თავი ეთმობა ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, აღწერილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. I ალტერნატივა - სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილსა და საქაღალდეს, სადაც გროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს დირექტორსა და სამუშაო ჯგუფის წევრებს, საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებსაც დირექტორის თანხმობით. II ალტერნატივა-- სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სკოლა ალტერნატივას სთავაზობს მონიტორინგის ჯგუფს და პ/პირებს. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**
2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომლის მე-12 თავი ეთმობა ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, განსაზღვრულია ორი ალტერნატიული გზა მონიტორინგის პროცესის სრულად განსახორციელებლად, გათვალისწინებულია ისიც, რომ კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად გაზიარებულია პასუხისმგებლობა პარტნიორი ორგანიზაციების ან სხვა ჩართული პირების მხრიდანაც, აქვეა განსაზღვრული თუ ვინ არის ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელი ინფორმაციის მოპოვება-გადამოწმება-შეჯამებაზე. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს ამ პროცესში წერილობითი ანგარიშების წარმოდგენას და გაზიარებული დოკუმენტის სახით სხვებთან ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ,,სქემა N1“--ს სახით მოცემულია ,,მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ,,მისია, ხედვა, ღირებულებების განაცხადის პროექტი წარედგინება სასკოლო საზოგადოებას, თემს, სამეურვეო საბჭოს, შენიშვნების შემთხვევაში შედის კორექტირება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში-- პროექტი მტკიცდება საბოლოოო სახით, წარედგინება დირექტორს , საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი ცვლილებების გათვალისწინება-შეტანა და ვებგვერდზე ქვეყნდება საჯარო ხელმისაწვდომისთვის.

ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში სქემა N3-ის სახით მოცემულია სტრატეგიული განვითარებისადა სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების პროცესი, აღნიშნული დეტალურადაა წარმოდგენილი ამავე დოკუმენტის მე-11 თავში. დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უკავშირდება სკოლაში მიმდინარე ყველა ძირიტად და დამხმარე პროცესს და ნებისმიერი ცვლილება მიემართება აღნიშნული პროცესების გაუმჯობესება-განვითარებისაკენ.

ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ,,მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**
   სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის ბრძანება N2-42-ის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, ხოლო 2023 წლის 10 სექტემბრის N2-56 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული პირების ფუნქციები. აღნიშნულ ბრძანებას დანართების სახით ახლავს 10 დანართი დოკუმენტების სახით, სადაც საშტატო განრიგის შესაბამისად თითოეული პირის ფუნქციაა მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის შინაგანაწესიც არეგულირებს სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლება-ვალდებულებების საკითხებს, ასევე შრომითი ხელშეკრულებებშიც მკაფიოდაა განსაზღვრული აღნიშნული საკითხები.**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**
   სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რომელთა მიხედვითაც გადანაწილებული პასუხისმგებლობები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის ბრძანება N2-58-ის საფუძველზე განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც რეგულირდება ფუნქცია-მოვალეობისას განსაზღვრული საქმიანობის ხარისხი და შედეგი.
   ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლასა და დასაქმებულ პირთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის ბრძანება N2-42 ,,სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-56 ბრძანება ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ განსაზღვრა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აღნიშნულ სკოლაში მოქმედებს ხუთი სტრუქტურული ერთეული: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. ესგ-ს შესაბამისად სკოლაში შექმნილია რვა საგნობრივი კათედრა. შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები თავად ირჩევენ საკუთარ

თვითმმართველობას. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს მათ მიერ არჩეული თავმჯდომარე. სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება საშტატო განრიგით, სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-56 ბრძანებით ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“

დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული სკოლის საშტატო განრიგით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სსსმ პირის ასისტენტი, საინფორმაციო მენეჯერი (ამ უკანასკნელის პოზიციაზე არ არის დასაქმებული კონკრეტული პირი) და ვიზიტის დროსაც გაირკვა, რომ არც კონკურსი არ აქვთ გამოცხადებული ვაჯკანტური ადგილის შესავსებად. სკოლის ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანებით ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ორგანიზაციული მხარდაჭერა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა და პერსონალის შერჩევის პროცესი, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი და პერსონალის საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, ორგანიზაციული კულტურა და საჭიროებების კვლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ღია კონკურსი გამოცხადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. სკოლაში ვიზიტისას დათვალიერდა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სკოლას აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელშიც ჩანს ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით, რათა კანდიდატთა შერჩევის პოლიტიკამ და პროცედურებმა უზრუნველყოს სხვადასხვა პოზიციაზე შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლის ექიმის გარდა, სხვა თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი და სკოლის მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწვეტილებები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და თანამშრომელთა პირად საქმეებში მოთავსებული იყო ცნობები ნასამართლობის შესახებ, ხოლო 2020 წლიდან დასაქმებულ 1 პირის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღებად გავლილი რეგისტრაციის დამადასტურებელი ბარათი და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის აღების მიზნით გავლილი რეგისტრაციის დამადასტურებელი ბარათი. მხოლოდ ეს 1 პირი იყო სკოლაში 2020 წლის შემდეგ დასაქმებული. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელოვნების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მიზნით განხორციელებული პროცედურების აღმწერი დოკუმენტაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით,** სადაც დანართის სახით წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ნოემბრის

ბრძანება N2-91, რომლის საფუძველზეც სკოლაში განსაზღვრულია პირი, რომელსაც სკოლაში საინფორმაციო მენეჯერის მოვალეობის შესრულება დაევალა დროებით. **შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე საინფორმაციო მენეჯერის მომსახურება.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან დასაქმებულია ექიმ-ფარმაცევტი. სკოლამ აღნიშნულ პოზიციაზე კვალიფიციური კადრის აყვანის მიზნით გამოაცხადა კონკურსი, თუმცა არა დასაქმების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე, არამედ მასწავლებელთა შერჩევის მიზნით ღია კონკურსის გამოცხადებისთვის განკუთვნილ პლატფორმაზე. კონკურსის ჩაშლის შემდეგ სკოლამ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს შუამდგომლობით მიმართა მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (წერილი N1203937) საშტატო განრიგში განხორციელდეს ცვლილებები და ექიმის შტატი შეიცვალოს ექთანის შტატით. გარდა სკოლის ექიმისა, საშტატო ერთეულებისა და პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, ასევე თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.11.2023-08.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურება.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტიდან ვკითხულობთ, რომ ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში.

ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში, აგრეთვე დასტურდება სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

   სკოლის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, უფრო მეტად ჩანს წახალისების და ნაკლებად კონკრეტული წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების მექანიზმები. სკოლის პრაქტიკით ჩანს, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, ინფორმაციას სკოლის მიღწევების და გამორჩეული აქტივობების შესახებ სკოლა აქვეყნებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ ქსელში. სკოლაში დამკვიდრებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. **კრიტერიუმი დამაკმაყოფილებელია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- სკოლის 2023 წლის 21 სექტემბრის N1203937 შუამდგომლობის წერილი
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-56 ბრძანება ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ განსაზღვრა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**
   მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის ბრძანება N2-53-ის საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ასევე სკოლის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N2-78-ის საფუძველზე სკოლაში შექმნილია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი, ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება ამავე ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში

გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. სკოლის დირექციასთან და სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. **კრიტერიუმი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" განსაზღვრავს საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობას. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ყველა პროცესი, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითრებას. სკოლაში ვიზიტისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლით, დგინდება, რომ სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სკოლის სურვილია, დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება პროფესიული გადამზადების კურსების, ტრენინგების მოძიებითა და მათში მონაწილეობით.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლას აქვს მოწყობილი ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი ოთახი, რომლითაც თანამშრომლები სარგებლობენ ტრენინგებზე და პროფესიულ შეხვედრებზე დასწრებისას და სასწავლო რესურსების შექმნისას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ასევე სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია

შრომის პირობების დაცვის წესები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს ახალმიღებული თანამშრომლის მუშაობაზე მოწყობასა და სწრაფ ადაპტაციას, რაც ითვალისწინებს სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტური სოციალიზაციას, ჰუმანურობისა და ერთგულების ჩამოყალიბებას. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია**.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**
   სკოლის შინაგანაწესში მოცემულია თანამშრომელთა წახალისების წესი, რომელსაც იყენებს სკოლა შესაბამისად. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N2-78 /ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის თაობაზე/
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითრებისა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის, ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ასევე შრომითი ხელშეკრულებებითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრავს უფლება-ვალდებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტით არეგულირებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხს, რომლის მიხედვითაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა გულისხმობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას. სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-58 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ განსაზღვრის შესახებ და სკოლის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N2-78 /ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის თაობაზე/ საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობები მიმართულია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განვითარებისაკენ. სკოლას კარგად ესმის, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული

აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურუკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით შექმნილი სკოლის კურიკულუმები ისგ გეგმებთან ერთად, ს.ს.გ.-ის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი. სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით (eFlow; eschool) **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის დებულება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N2-46-ით რეგულირდება აღნიშნული პროცესი და უფლება-ვალდებულებებთან ერთად აღნიშნულ დოკუმენტში ამა თუ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებაც არის საუბარი. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს გასაჩივრების საკითხებს, ასევე აღნიშნულის შესახებ სკოლაში დისციპლინური კომიტეტი, სკოლის დირექტორი და სამეურვეო საბჭოს თავ-რე განიხილავს საკითხებს. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

   სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში, დარეგულირებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N2-46-ით. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი.
- საქმისწარმოების წესი.
- სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი-სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N2-46
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული

სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარე, ამ მიზნით მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტებები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საკითხები განხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლა ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს საინფორმაციო დაფებს, რომლებიც განთავსებულია შენობის ორივე სართულზე. ასევე სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები; სამეურვეო საბჭო; დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი; მრჩეველთა საბჭო; ი.ს.გ. ჯგუფი; მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული სტრუქტურულ ერთეულებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული 6 წევრისგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან.

პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. დისციპლინურ კომიტეტი აირჩევა დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭოს მიერ. მის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სოციალური ქსელი
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ(სამურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და ა.შ.) წარმოდგენილი მასალები(ოქმები)

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

   სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პ/პ, რომელიც გადამზადებულია შესაბამისი ორგანოს მიერ. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესრულებაზე პ/პ. სკოლას კანონით დადგენილი წესით გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. ჰყავს ექიმი, რომელიც ემსახურება მოსწავლეების გარდა სკოლაში მომსახურე პერსონალსაც. **თუმცა სკოლაში ამჯამად არსებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება სკოლის ექიმის კანონმდებლობით დადგენილ საკალიფიკაციო მოთხოვნებს.** სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის ბრძანება N 2-53-ის ერთ-ერთ დანართს წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დებულების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა განმარტებული საგანგებო სიტუაციების დროს პ/პირებისა და საქმიანობის შესახებ. სკოლას აქვს მრჩეველთა საბჭოს მიერ 2021 წელს შემუშავებული სკოლის უსაფრთხოების გეგმა, სადაც გაწერილია სასკოლო დროს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, პ/პირები და შესრულების ინდიკატორები.სკოლას არ აქვს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,რომელიც სავალდებულოა წარმოსადგენად, ასევე არ აქვს სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობის დასკვნა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.11.2023 – 28.02.2024. სკოლამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N007044523 (მიღება-ჩაბარების აქტი N3007047123) შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

   სკოლამ უზრუნველყოს: შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმის შეთანხმება;

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

   სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიმდინარე წლის 11 სექტემბრის N2-63 ბრძანებით, რითაც არეგულირებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფას, სკოლაში შესულია მანდატურის სამსახური, გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პ/პ, სკოლას გააჩნია მეტალოდეტექტორი, ჰყავს კარისკაცი, რომელიც პასუხისმგებელია უცხო პირთა შემოსვლაზე. გამოვლენილ დარღვევაზე ხდება დროული და მყისიერი რეაგირება. სართულებზე მორიგეობენ მასწავლებლები. **ინდიკატორი ფასდება „ შეესაბამება“**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას, ასევე სკოლის დირექტორის მიმდინარე წლის 11 სექტემბრის N2-63 ბრძანებით დარეგულირებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ზომები, სკოლას აქვს პრაქტიკა მასწავლებელთა მორიგეობისა, რომლითაც უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად ჰარმონიული გარემო. სკოლა საჭიროების გამოვლენისთანავე უზრუნველყოფს სკოლის ექიმის დახმარებით მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებას, ამავდროულად ხდება პედაგოგიური კოლექტივის და სხვა პერსონალის მიერ ბავშვთა საჭიროებების ამოცნობა და მათზე რეაგირება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვითშეფასების ანგარიშში სკოლა აღნიშნავდა ამ მიმართულებით კადრის გადამზადების აუცილებლობას, შესაბამისად იკვეთება სკოლის მზაობა განავითაროს და გააუმჯობესოს ამ მიმართულებით მუშაობა. **ინდიკატორი ფასდება „ შესაბამისია“.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელიც დამტკიცეულია სკოლის დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 11 სექტემბრის N2-60-ის საფუძველზე. სკოლაში ვიზიტისას ამ მიმართულებით ადგილზე დათვალიერდა ყველა საკლასო ოთახი, კლას-კაბინეტები, დერეფნები, სველი წერტილები სკოლის გარე სივრცეები. ყველგან დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში ამ მიმართულებით დამტკიცებული მექანიზმის გათვალისწინებით მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირები. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლის დირექტორის მიერ 2022 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N2-51-ის საფუძველზე სკოლაში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტების წარმოებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავებაზე სკოლაში შექმნილია საქმისწარმოების წესი. სკოლის აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობისა და მათი ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის თაობაზე ნებართვას მოიპოვებს სკოლა მშობელთაგან. რჩევის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტის სახით პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება ყველა საკითხი.**ინდიკატორი ფასდება „ შესაბამისია“**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პ/პირი პერსონალური მონაცემების დაცვაზე, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღება-გაცემის პროცესში არსებული ინფორმაციის დაცვას. დოკუმენტების წარმოებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამუშავებაზე სკოლაში შექმნილია საქმისწარმოების წესი, სადაც განსაზღვრულია ინფორმაციის დამუშავების წესები. **ინდიკატორი ფასდება „შეესაბამება“**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 სექტემბრის N2-53 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დებულება. ეს დებულება ძირითადად ეხება საგანგებო სიტუაციებში სკოლის მიერ განსახორციელებელ ნაბიჯებს. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის გაწერილი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების საკითხები, სხვა დოკუმენტებშიც არ არის გამოკვეთილი ამ მიმართულების მონიტორინგის საკითხები, თუმცა სკოლას ჰყავს მანდატური, შესაბამისად მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობების შესრულება ითვალისწინებს ყოველდღიური დისციპლინური გადაცდომის აღრიცხვასა და დაფიქსირებას, შესაბამისად, სკოლის რეაგირებას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ამონაწერი/ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დებულების დოკუმენტი
- სკოლაში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

   სკოლის სარგებლობაშია საკმაოდ დიდი ფართი. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა 4 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რათა მტკიცებულებად წარმოედგინა სკოლის დაზუსტებული ფართობის გასაცნობად. I- საკადასტრო კოდი N41.14.36.589, მოსარგებლე სკოლა მიწის ნაკვეთის ფართი 17965 კვ.მ. აღნიშნულ ფართზე მდებარეობს სკოლის ორსართულიანი შენობის ძირითადი ნაწილი (1089,7 კვ.მ ფართი), საქვაბე (22,4 კვ.მ) და წყლის აუზი (2,35 ვ.მ.); II -- საკადასტრო კოდი N41.14.36.041, მოსარგებლე სკოლა დაზუსტებული ფართობით - 1311.00 კვ.მ.; III -საკადასტრო კოდი N41.14.36.035, დაზუსტებული ფართობით - 2925.00 კვ.მ.; IV-საკადასტრო კოდი N41.14.36.039, (ნაკვეთის წინა ნომერი: 41.14.36.005) დაზუსტებული ფართობით 347.00 კვ.მ; აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ერთიან სივრცეში, შემოღობილია მთლიანად. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას რჩევის სახით მიეწოდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელია ცალ-ცალკე წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან რამდენიმე ამონაწერის აუცილებლობის თავიდან ასარიდებლად,

კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია გააერთიანოს სკოლის სახელზე, როგორც ერთ მოსარგებლეზე არსებული ფართები. სკოლა განთავსებულია ერთ ორსართულიან შენობაში. აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი). სასკოლო შიდა და გარე სივრცე იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების/ ღონისძიებები განსახორციელებლად. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება. უზრუნველყოფილია დენით და ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო ინვენტარით, კერძოდ, ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, კარადებით, სარეკრეაციო სივრცეებით. სკოლაში არის 1 - პერსონალური კომპიუტერი, 25 - ლეპტოპი, 6- პრინტერი, 5 - პროექტორი. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ სკოლაში არსებული რესურსებით, ასევე ხელმისაწვდომია ისინი თანამშრომლებისთვისაც. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ ციფრული განვითრების გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლეებს კვირის ნებისმიერ დღეს 09:00 საათიდან 18::00 საათამდე შეეძლებათ მუშაობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში - კი არასამუშაო დროსაც. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პ/პ იქნება ტექნოლოგიების მასწავლებელი, ხოლო მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა შემთხვევაში --დირექტორის მოადგილე. სკოლაში ხელმისაწვდომია ინეტერნეტით სარგებლობა, დაფარულია შენობა WIFI-ით, რაც სკოლის ნებისმიერი სივრციდან ინტერნეტში ჩართვას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. სკოლა გამოირჩევა სპორტული წარმატებებისათვის უამრავი თასითა და სიგელით, რაც მიანიშნებს სკოლაში სხვადასხვა სპორტულ სახეობებში მოსწავლეების მაღალ ჩართულობაზე. ლაბორატორიებში ტარდება საგაკვეთილო პროცესი. სკოლას შექმნილი აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი, რესურსოთახი, რომლებიც გამოიყენება შესაბამისად და მიზნობრივად. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი. სკოლას აქვს დიდი დერეფნები, სკოლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შემოსასვლელში მოწყობილია პანდუსი, სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო. სართულებზე

გადასაადგილებლად დამონტაჟებულია ლიფტი. კეთილმოწყობილია რესურს ოთახი. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

   შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართე დერეფნები, სკოლის ეზო, კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

   სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: კერძოდ,

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.

   საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილი სტემ საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით. სპორტის გაკვეთილებისთვის დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

   სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია პირველ სართულზ მდებარე სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ტექნიკისა და სხვადასხვა რესურსის მიღება-ჩაბარების აქტები
- ტექნოლოგიების განვითარების გეგმა

- ბიბლიოთეკის დებულება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლა უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ინფრატრუქტურის ხელმისაწვდომობას, როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის გამარტიებისთვის, ისე სასწავლო პროცესის გამრავალფეროვებისთვის და სასკოლო საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გამარტივებისთვის. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. გამოყოფილია კომპიუტერული ლაბაბორატორია/სამუშაო სივრცე მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის:

კომპიუტერული სივრცე მოსწავლეებისთვის - სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ლაბორატორიით, განთავსებულია 20 ლეპტოპი. **კომპიუტერული სივრცე მასწავლებლებისთვის** - მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებულია 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი. რესურს ოთახში 1 ლეპტოპი.

სკოლას აქვს 5 პროექტორი, რომელთაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. პროექტორები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბოატორიაში და ხელმისწავდომია ყველა საფეხურისათვის. სკოლას აქვს 1 პერსონალური კომპიუეტრი, რომელიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტში ფერად და შავ-თეთრ პრინტერებთან ერთად. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, ამასთანავე, სკოლას ჰყავს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერულ ლაბორატორიაში ქცევის წესები, რომელიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის კომპიუტერული ტექნიკით გამოყენების გეგმაში გაწერილია გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს/მასწავლებლებს შეუძლიათ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება/გატანა. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სოციალურ გვერდს, ბლოგს, ელექტრონულ ჟურნალს. სკოლის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს ონლაინ საქაღალდეების სისტემა One Drive-ღრუბლოვან საცავში. მაგ: შექმნილია სხვადასხვა დოკუმენტაცია, მასზე ყველა საგნის მასწავლებელს აქვს წვდომა და შეუძლია ჯგუფურად მუშაობა, რედაქტირება. სკოლა საჭიროების შემთხევაში, იყენებს Forms-ის კითხვარს ინფორმაციის მოგროვების, კვლევისა და მოგროვებული ინფორმაციის დამუშავების პროცესის გასამარტივებლად. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- ტექნოლოგიების განვითარების გეგმა
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი
- სკოლის სოციალური ქსელი Facebook-ზე

- სკოლის ელექტრონული ფოსტა , Teams-ის პლატფორმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სკოლას მიმდინარე წლის 7 სექტემბრის ბრძანება N2-40-ის საფუძველზე შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი.მიმდინარეობს ელექტრონული საქმისწარმოება დოკუმენტბრუნვის სისიტემა „Eflow“-ს საშუალებით. საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. დოკუმენტების დანართებს რიგ შემთხვევებში არ აქვს ბრძანების თარიღები დატანილი, სკოლას მიეცა რჩევა: საქმისწარმოების წესის მიხედვით წარმოდგენილ დანართებს თან ერთვოდეს შესაბამისი ბრძანების თარიღები. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow, eSchool.emis.ge, office 365-Outlook. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სრულფასოვან მუშაობას. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ იყო შესწავლილი მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზაში სკოლის პროფილი, რომლის ყველა ველი იყო შევსებული სრულყოფილად. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow-ში. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა **marSalkhino@mes.gov.ge**, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება, სკოლას ასევე აქვს ვებგვერდი, რომელზეც ათავსებს საჯარო ინფორმაციას. ამ ეტაპზე ვებგვერდი ნაწილობრივ შევსებულია და ყოველდღიურად ახლდება ინფორმაცია.**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის დირექტორის წლიური ანგარიშითა და სხვადასხვა ანგარიშებით. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- საქმისწარმოების სხვადასხვა ტიპის ჟურნალი
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

- დირექტორისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშის ამსახველი მასალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

   სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების, საშუალებით. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. სკოლა ნებისმიერ სიახლეს პედაგოგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან/და გამოიკრება თვალსაჩინო ადგილას.

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის გეგმა-გრაფიკი ფორმა სასწავლო დღეებში და მიზნობრივად. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმა

Microsoft Teams საკლასო ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს უზრუნველყოფილი აქვთ ურთიერთობები საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებულ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც ამ ეტაპისთვის განთავსებულია აუცილებელი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

   სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტეს, არ ჰქონია რაიმე შემთხვევა, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნული კრიტერიუმის შეუსაბამობა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

   სკოლის განმარტებით, სოციალური ქსელისა და ვებგვერდის ადმინისტრატორი პირი უზრუნველყობს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი გეგმა გრაფიკის სახით, სადაც ჩანს კომუნიკაციის მიზნობრიობა და შინაარსი, თუ როგორ მოხდება შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

   სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებულ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც ამ ეტაპისთვის განთავსებულია აუცილებელი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად.ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ასევე პირებს შორის პირისპირ და წერილობითი კომუნიკაციის, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, სკოლის სოციალურ

ქსელში (Facebook) და Teams-ის მიზნობრივ ჯგუფებში გამოქვეყნებით. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისთვის. საჯარო და აუცილებელი ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ამ ეტაპზე ამუშავებს და სრულყოფს ვებგვერდს, რომელზეც ეტაპობრივად აქვეყნებს და გამოაქვეყნებს ინფორმაციასა და შესაბამის ცვლილებებს სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვეგვერდი
- სკოლის სოციალური ქსელი
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლის გვერდი
- მშობლებთან კომუნიკაციის წესი
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პ/პირის შესახებ ბრძანება
- ელექტრონული ჟურნალები

- მშობელთა მესენჯერ-ჯგუფები

სკოლის საინფორმაციო დაფა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს: ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე სკოლაში იქმნება ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც საბოლოო სახით მტკიცდება სამეორვეო საბჭოს სხდომაზე და საჭიროებისამებრ, წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და ცვლილებები მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოს სკოლამ კომუნალური გადასახადები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები,

საკანცელარიო ნივთები, საგნობრივი კათედრების მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესურსების გარკვეული ნაწილი და სხვა, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებელად წარიმართოს. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლას სახელმწიფოსგან ერიცხება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც მიმართულია სასკოლო სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, როგორიცაა სასწავლო რესურსების, მასალების შეძენა გადაცემა პედაგოგებისთვის, ასევე სკოლის ადმინისტრაციისთვის სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის. ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად სკოლა ნოემბრის თვეში ამტკიცებს მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია მოხდეს გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე. აწარმოებს ბაზრის კვლევებს შესასყიდი საქონლის ფასების დადგენის მიზნით და დებს ხელშეკრულებებს რომელიც მომდევნო წლის 30 იანვრამდე იტვირთება შესაბამის ელექტრონულ სივრცეში. საბოლოოდ ყოველწლიურად სკოლა 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს შესაბამის ოქმში. სკოლის ბიუჯეტის პროექტის გეგმას შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება. სამეურვეო საბჭოში, არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპით. სკოლაში ვიზტისას დადგინდა, რომ ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ დამტკიცებული მოქმედი ბიუჯეტი
- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის პროექტი
- შესყიდვების გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლეთა უფლებათა და გარანტიების დაცვა. მოსწავლეებს აცნობენ საკლასო კრებაზე შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციას, სადამრიგებლო პროგრამას. მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ თვითმმართველობის მიერ ინიცირებულ, სასკოლო და საკალსო პროექტებიში, მოსწავლეებს აქვთ გასაჩივრების უფლება, მაგრამ ცალკე დამტკიცებული დოკუმენტი შედგენილი არ აქვთ. ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას. ინდიკატორი **4.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სკოლის საზოგადოების მიერ. სასკოლო სივრცეში შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ასევე აღნიშნული დოკუმენტაცია ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. ყველა კლასში გამოკრულია მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული ქცევის წესები, მშობლებსა და მოსწავლეებს მეილებით ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაცია, სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული კლასის დამრიგებელი იწვევენ მშობლებს და კრებაზე აცნობენ სკოლის საერთო კულტურას, მოსწავლეთა ქცევის და ეთიკის კოდექსს, მოსწავლეების უფლება მოვალეობებს და შინაგანაწესს. საკლასო კრებაზე ხდება აგრეთვე სასკოლო სასწვლო გეგმის შესაბამისი საკითხების გაცნობა და განხილვა. სკოლას გააჩნია Facebook გვერდი. **ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში ვიზიტისას დადგინდა, კანონის შესაბამისად გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის თითო ეგზემპლარი მიეწოდება მშობლებს. მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის დღიდან, რომელიც ძალაშია მეთორემეტე კლასის დამთავრებამდე. მობილობით გადმოსული მოსწავლის ხელშეკრულება ფორმდება მოსვლის დღიდან. ხელშეკრულებები არის სტანდარტული და მომავალი წლისათვის გეგმავენ ხელშეკრულების პირობების გადახედვას. **ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დისციპლინარული კომიტეტის სხდომის ოქმი;
2. შინაგანაწესი, წესდება;
3. ხელშეკრულებები;
4. სკოლის ვებ გვერდი;
5. Facebook გვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანებით დადგენილ ვადებით და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლე რეგისტრაციას გადის განათლებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებრგვერდზე. სკოლაში გამოიცემა ბრძანებები მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრაზე და მათი აკადემიური მოსწრების აღიარებაზე. აღნიშნული წესი და ვადები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონის შესაბამისად. დაინტერესებული პირს ეცნობება ინფორმაცია პროცედურებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ უშუალოდ პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. ჩარიცხვა ხორციელდება მშობელთა განცხადების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სტატუსის შეწყვეტისას მშობელს ეცნობება წერილობით. მოსწავლეთა პირველ კლასში ჩრიცხვის შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. პირველ კლაში ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ფეისბუქ გვერდიდან. ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის მასწავლებელი და დოკუმენტაციის წარმოებაზე საქმის მწარმოებელი. **ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას აქვს სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელ. ჟურნალის კომენტარები, მესენჯერ ჯგუფი. სსგ გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე. სასკოლო წლის დასაწყისში სკოლას აქვს ღია კარის დღე, რომლის მეშვეობითაც მშობელი/დაინტერესებული პირი იღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ. გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადისკრიმუნაციული. განთავსებულია საინფრომაციო დაფაზე და ვასაჯაროებთ სოციალური ქსელის მეშვეობითაც. სკოლას დამატებითი ფასიანი მომსახურება არ აქვს. **ინდიკატორი 4.1..2.3. დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ ეროვნული სასაწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, ამასთანავე, სკოლაში

არსებული საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების დაფაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ ინტენსიურად ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზემოთ მოცემული სხვადასხვა საკითხის შესახებ. **ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
2. აღრიცხვის ფორმები;
3. **ვებ გვერდი;**
4. ინფრასტრუქტურა;
5. ფესიბუქ გვერდი.
6. ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტირებას ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამით და შინაგანაწესით. მექანიზმები გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის შინაგანაწესში. კლასის დამრიგებლები ყოველი ახალი მოსწავლის მიღების დროს ადაპტირების მიზნით ატარებს სხვადასხვა აქტივობას. სკოლა ზრუნავს ყველა მოსწავლისათვის და ქმნის ხელშეწყობის მექანიზმებს. პირველი კლასის და მობილობით გადმოსული მოსწავლეებისათვის იგეგმება სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა, ამ კუთხით სკოლა კონკრეტულად გაწერილი ტრანზაქციის გეგმა არ აქვს. მობილობით მოსულ მოსწავლეებს დამრიგებლები ეხმარებიან კლასთან კონტაქტის დამყარებაში, აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ათვალიერებინებენ სკოლას. **ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
კლასის დამრიგებლები იწვევენ მშობელთა კრებას, აცნობენ შინაგანაწესს, სასკოლო გეგმას. პირველი კლასისა და მობილობით მოსული მოსწავლეებისათვის მართავენ ,,ღია კარის“ დღეს სექტემბრის დასაწყისში. ითვალისწინებენ კლასში შესაბამისი ასაკის ავეჯის განთავსებას, საერთო საზიარო სივრცის მოწყობა, სსმ მოსწავლისათვის რესურსოთახით სარგებლობა. ბავშვებს ეძლევათ

შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნონ და შეეგუონ მომავალ დამრიგებელს, ისევე, როგორც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ გაიცნოს ბავშვები, გაეცნოს მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებსა და განსაზღვროს სასწავლო პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობის გზები. **ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. მშობლები დამრიგებლის მეშვეობით იღებენ ინფრორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ, კვირის ყოველ პარასკევს არის მშობელთა მიღების დღე. ინფორმაციის გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. არის სატელეფონო ზარებიც და საერთო ჩატებიც. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. მასწავლებლები სისტემატიურად ეხმარებიან მოსწავლეებს გაკვეთილების მიმდინარეობისას, აძლევენ რჩევებს, რეკომენდაციებს, განმარტებებს მათთვის გაურკვეველი საკითხების გარშემო. მოსწავლისათვის სირთულის აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელი კვირაში ორჯერ უტარებს დამატებით გაკვეთილს. აძლევს დამატებით განსხვავებულ დავალებას. აძლევს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილია წერილობითი უკუკავშირის მიცემა. **ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლას გააჩნია ხელშემწყობი გარემო საიმისოდ, რომ მოხდეს მოსწავლეთა მხრიდან ინოვაციებისა და იდეების რეალიზება, ხორციელდება სასკოლო და საერთაშორისო პროექტები, ხდება სპონსორების მოძიება და არაერთგზის იქნა მოპოვებული ფინანსური გრანტები, რომელიც გამოყენებული იქნა მიზნობრივად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა. ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე, მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი. **ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ჯანსაღი დამოკიდებულება, მოტივაციის ზრდა და აკადემიური წინსვლა. ამ მიზნით ინტეგრირებული პროექტის „მივცეთ ახალი სიცოცხლე ძველ ნივთებს'' მოსწავლეები

წაყვანილ იქნენ დადიანების მუძეუმში ქალაქ ზუგდიდში, სადაც მოისმინეს პრეზენტაცია ნარჩენების მართვაზე და შემდგომ თვითონ დაამზადეს ნივთები. ასევე იყვნენ მუზეუმში და თეატრში. მოსწავლეთა თვითმმართველობა შემოვიდა წინადადებით ეკოკლუბისა და ქარგვის შემსწავლელთა წრის გახსნის შესახებ, რაც დირექციის მხრიდან დაკმაყოფილებულ იქნა.**ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. იმისათვის, რომ მოწავლეს გაუმარტივდეს სკოლაში თვითრეალიზება სკოლა ხშირად იყენებს როგორც საგაკვეთილი პროცესში, ასევე სადამრიგებლო საათებზე, დაკვირვებისა და თვითშეფასების ფორმებს. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლოწლისათვის კითხვარების შემუშავებას სხვადასხვა მიმართულებით უკუავშირის მისაღებადა და შემდგომი ანალიზის საფუძველზე მომსახურეობის გაუმჯობესებას. სკოლაში განხორციელებული პროექტების და ღონისძიებების შემდეგ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მოხდა სკოლის ტერიტორიის დეკორატიული მარადმწვანე ბუჩქებით გამწვანება. **ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები;
2. შეფასების ფორმები;
3. მემორანდუმი;
4. კლუბები, წრეები;
5. <u>ვებ-გვერდი.</u>

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას პროფესიული ორიენტაციის შესახებ. აწვდის ინფორმაციას უმაღლესი განათლების პროგრამებზე, აწვდის რეალურ ინფორმაციას მოსწავლეთა მიდრეკილებებზე. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტებთან. სკოლამ პროფესიული ორიენტაციის მხრივ შექმნა სასკოლო პროექტები და მოსწავლეები წაიყვანა იუსტიციის სახლში და სენაკის სამხედრო ბაზაზე, გეგმავს ვიზიტს ავეჯის სახლში და მეფუტკრე-ფერმერებთან.

ინდიკატორი 4.2.2.1. შესაბამისია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები. ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა როგორც მოსწავლისათვის, ასევე პედაგოგებისა და მშობლებისათვის, რომელიც გამოკრულია სიახლეების დაფაზე, ღია კარის დღე, საინფორმაციო ბუკლეტები. სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულებისას აწვდის მოსწავლე და მშობელს ინფორმაციას განახლებულ ინფორმაციას პროფესიასთან დაკავშირებით, მიმდინარე სასწავლო წლელს იგეგმება კითხვარების შექმნა თუ რომელ მოსწავლეს რა მიდრეკილება აქვს და სად სურს სწავლის გაგრძელება.

ინდიკატორი 4.2.2.2. შესაბამისია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ამ ეტაპზე გაწეული მომსახურეობის აღწერა და შეფასების შედეგები არ აქვს სკოლას

ინდიკატორი 4.2.2.3.არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტები;
- მემორანდუმი;
- კლუბის სილაბუსი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბის წესდება.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება ხდება საგნისმასწავლებლების მიერ, ინფორმაციას აწვდიან სპეციალურ მასწავლებელს და პრობლემის დაზუსტების მიზნით ინფორმაციას აწვდის სკოლა მულტიდისციპლინურ გუნდს და ამ უკანასკნელის დასკვნის საფუძველზე მოსწავლეები აყავს ისგ გეგმაზე. მოსწავლის სწავლისთვის შესაბამისი რესურსების საჭიროება მიაწოდოს დირექტორს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები. სკოლას შეუძლია სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების დროული იდენტიფიცირება. სკოლას გააჩნია მომართვის ფორმები რომლის დახმარებით მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია აღნიშნული მოსწავლის შეფასებაზე წარდგენა. ისგ ჯგუფი

მოლაპარაკების და თანამშრომლობის საფუძველზე თანხმდება იმაზე თუ რამდენად რელევანტურია მათ მიერ განსაზღვრული მიზნები ესგ მიზნებთან. **ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოსწავლეებს აქვთ დასწავლის უნარის დაქვეითება და ქცევის მართვის პრობლემა. საგაკვეთილო პროცესში საგნის მასწავლებელთან ერთად მუშაობის პროცესში ჩართულია სპეციალური მასწავლებელიც. სკოლა ყოველდღიურად უწყობს სსსმ მოსწავლეებს ხელს სწავლასა და წინსვლაში. ისგ ჯგუფის შეხვედრები ფუნქციურია და ის ემსახურება სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერას როგორც სწავლის პროცესში ისე სასკოლო ცხოვრებაში მათ სრულფასოვან ინტეგრაციაში. ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ იწერება ოქმები სადაც დეტალურადაა აღწერილი ის დღის წესრიგი და ყველა ის დეტალი რომელიც მოითხოვს ისგ ჯგუფის მსჯელობასა და განხილვას. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე აქტიურად არიან ჩართული მშობლები, წინასწარ იციან შეხვედრის თარიღი და მთ თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოხატვა ისგ ჯგუფის წინაშე. მშობელი აქტიურად თანამშრომლობს სპეციალურ მასწავლებელტან, მათ შორის ურთიერთობის დროს დაცულია კანონით გათვალისწინებული ყველა ნორმა.**ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები,
2. სსსმ მოსწავლეთა რეგულაციები.
3. ინდ.გეგმები

4.2.3.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას აქვს კვების ობიექტი (ბუფეტი), სადაც დაცულია მოსწავლეთათვის უსაფრთხო პროდუქტის შემოტანის წესები. ემსახურება სასკოლო ტრანსპორტი, რომელსაც სოფლის ოთხი სხვადასხვა მიმართულებიდან დაჰყავს 112 მოსწავლე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომლის საფუძველია იჯარის ხელშეკრულება და კანონმდებლობის წესით განსაზღვრული ყველა პროცედურა: კერძოდ, თანხმობის წერილები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, ქონების მართვის სააგენტოსგან, ელექტრონული აუქციონის გამოცხადება და შესაბამისი შედეგები.

სკოლას აქვს სასკოლო ტრანსპორტით მომსახურების სერვისი და აწარმოებს ყოველდღიურ ტაბელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლაში ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება შეუფერხებლად, სკოლა აწარმოებს სპეციალურ ტაბელს ტრანსპორტის სრულფასოვნად მომსახურების აღრიცხვის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **იჯარის ხელშეკრულება**
- **ტრანსპორტის მომსახურების ტაბელი**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება - დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი და ჩამოთვლილია პასუხისმგებელი პირების - კათედრის წევრების (საგნის მასწავლებლების), კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქციები. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება, თემებზე, მიზნებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე შეთანხმება ხდება კათედრაზე და კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. დოკუმენტის გაანალიზებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. მოაწყვეს მშობელთა კრებები, სადაც გააცნეს სიახლეები (კომპლექსური დავალებები). მშობლთა ინფორმირების მიზნით ჩატარდა მშობელთა კრებები - გააააცნეს სიახლეები და მომავალში გეგმავენ მშობლის ბარათის მიწოდებასაც. დოკუმენტში ჩამოთვლილია თუ რა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და სხვა). **რჩევა:** მოცემულ დოკუმენტში სასურველია დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობის გზები (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები). **ინდიკატორი 2.1.1.1 - დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები, I –IV და V - VI კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების, ანალიზის, მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მოხდა ახალი კურიკულუმის შემუშავება. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას. ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, შუალედური მიზნების სახით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. თანხმდებიან სწავლა - სწავლების პროცესში დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭირო სტრატეგიებზე, მეთოდებსა და რესურსებზე. კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა გამოიხატება მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ხოლო მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო თუ საგანმანათლებლო პროექტებში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მათი ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. ინდიკატორი 2.1.1.3 - დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია და ჩამოთვლილია ყველა საკომუნიკაციო არხი, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის გაზიარება, რათა იგი საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადობის ნებისმიერი წევრისთვის (მაგ: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერზე, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები). თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ I – IV და V – VI კლასის საგნობრივი კურიკულუმის განხილვა და გაანალიზება ხდება

კათედრაზე, მშობლების ინფორმირებისთვის კი გამოიყენეს მშობელთა კრება და მომავალში იგეგმება მშობლის ბარათის გამოყენებასაც. სკოლას აქვს თავისი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ში, რომელშიც პერიოდულად განათავსებს სკოლაში განხორციელებულ აქტივობების ამსახველ მასალებს. https://www.facebook.com/profile.php?id=100041453845705
სკოლა EMIS-ის მიერ შექმნილ ვებგვერდზე აქტიურ მუშაობას მიმდინარე სასწავლო წლიდან განახორციელებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- დაწყებითი საფეხურის, I-VI კლასის საგნობრივი კურიკულუმები.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუების შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; I- VI კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბასმისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. როგორც ინტერვიუდან გამოიკვითა, დავალებების შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა მზაობის, ინტერესების, საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის საშუალებას.მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობა გაგრძელდება და უფრო დაიხვეწება.სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. გაწერილი და წარმოდგენილი აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. უცხოური ენების მიმართულებით ინტერვიუს დროს კათედრას მიეცა რჩევა *გამოიყენოთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორიცაა ვიქტორინა, სასწავლო პროექტები, საერთაშორისო პროექტები (etwinning, Erasmus+) და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, როგორიცაა kahoot, youtube, british council და ა.შ. მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეების გახსნილობას და საგაკვეთილო პროცესში უფრო აქტიურ ჩართულობას.*

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკაები
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - I – IV და V - VI კლასების ყველა საგანში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფში მუშაობისას), პროცესის ბოლოს კი უწევს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალების პირობა და დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. წარმოდგენილია განმავითარებელი (I – IV კლასის) და განმსაზღვრელი (V – VI კლასის) შეფასების რუბრიკები. წაროდგენილი კურიკულუმის ცხრილების, კომპლექსური დავალების მატრიცების განალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს, ფუნქციურ უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს.მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს.აღსანიშნავია, რომ არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან.

სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეთა ნამუშევრები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ინტერვიუები კათედრების წევრებთან

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვისა და ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება მოსწავლის მზაობის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაცია, სადაც ასახულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროგრამა. ასევე, სკოლაში შექმნილია ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც შედიან სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი. აგრეთვე, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ. მათთვის შექმნილია უსაფრთხო და ადაპტირებული გარემო.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლაში წარმატებით ხორციელდებოდა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები იღებდნენ შესაბამის განათლებას. საგნის მასწავლებლებმა სპეციალურ მასწავლებელთან ერთად შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც გაწერილი იყო გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

საგნის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ გეგმავს და მოსწავლეებთან იყენებს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. საგნების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ანუ მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს, ასევე ჩანს დავალებების შესრულების საშუალებების არჩევის შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია ;

- საგნობრივი კურიკულუმები; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუები საგნობრივი კათედრების წევრებთან

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ I – IV კლასის კურიკულუმებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე კათედრამ წარმოადგინა V – VI კლასში გათვალისწინებული თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილი აქვს სსგ-ში. კათედრის მიერ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: კონკრეტული კომპლექსური დავალების შესაბამისად შედგენილი გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღინიშნა, რომ სისტემატიურად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. სკოლა გეგმავს განმავითარებელი შეფასების როლის გაზრდას **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია ;
- დაწყებითი საფეხურის საგნიობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნებისა და კლასების -I – IV და V – VI კლასის კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს კათედრის წევრებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება. 2022- 2023 სასწავლო წელს სწავლების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზების საფუძველზე შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კი აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და ,,დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება". სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ სკოლაში ხდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობა, სკოლაში შეიმუშავეს მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, რაც გულისხმობს მასწავლებელთა მიერ თვითრეფლექსიების გაკეთების შესაძლებლობას და შესაბამისად რეფლექსიის გაკეთების გამოცდილებას. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ურთიერთდასწრების პროცესი სისტემატიურად მიმდინარეობს მათ სკოლაში.

ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ამის მიხედვით დაგეგმეს მიმდინარე სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი.

მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ პერიოდულად მოახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ან გაწეული საქმიანობის ანალიზს, დაწერენ რეფლექსიებს და ამის მიხედვით დაგეგმავენ კურიკულუმის განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს. მასწავლებელთა თქმით, ამ პროცესს უფრო აქტიურს გახდიან მიმდინარე სასწავლო წლისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, უფრო კარგად დაინახონ მოსწავლეთა საჭიროებები და უფრო დახვეწონ მომავალი წლის კურიკულუმები. ამისათვის ისინი გამოიყენებენ დანერგილი კომპლექსური დავალებების შეფასების ფორმებს და გაუზიარებენ გამოცდილებას კათედრის წევრებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები;
- დაწყებითი საფეხურის I-VI კლასის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი)
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- კომპლექსური დავალების პირობები განხორციელების ეტაპებით
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ინდ. სასწავლო გეგმები
- სასკოლო სასწავლოგეგმა
- სკოლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

დაწყებით საფეხურზე მოწოდებულ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი იძელვა მოწავლის აქტიურ შემოქმდებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი** კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების მატრიცების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეებისთვის შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შექმნას განსხვავებული პროდუქტები (მოდელი, მაკეტი, ალბომი, კომიქსი და სხვა) რაც უბიძგებს შემოქმედებითობისკენ. **საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრი**ს მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. საგნებში ,,მე და საზოგადოება“ და ,,ჩვენი საქართველო“ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **უცხოური ენების** მიერ დაგეგმილი და დაწერილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლი ქმნის გარემოს სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **ესთეტიკური აღზრდის** (ხელოვნების და მუსიკა) წარმოდგენილ კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები თუ კომპლექსური ბუნების დავალებები და მათში ასახული შინაარსი, მოსწავლეთა მიერ შესაქმნელი პროდუქტი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას თვითშეფასების განაცხადში და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნულია, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში და ქმნიან პროდუქტს(უვითარდებათ წერის უნარი, დისკუსის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარი), რაც ეხმარება მოსწავლეს გახდეს შემოქმედებითი პროცესის მონაწილე, ვიყენებთ აქტიურად ტექნოლოგიებს, ვსწავლობთ თამაშის

პრინციპით, რომელიც ამაღლებს მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას. **ტექნოლოგიების მიერ** წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. ინტერვიუში მასწავლებელმა აღნიშნა, რომ პროექტებში მონაწილეობით მოსწავლეებს აძლევს თავისი შემოქმედებითობის და შესაძლებლობების გამოვლენის და გამოყენების საშუალებას. **სახელმწიფო ენის მიერ** წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში, რადგანაც კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელება გულისხმობს მოსწავლის აქტიურობით, მოსწავლის ძალისხმევით შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს. ესაა დავალება, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გააქტიურება. მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას; რომ ყოველ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ აქტივობის განხრციელებაში, თავისი მზაობისა და შესაძლებლობების ფარგლებში. **მათემატიკის** კურიკულუმში გაწერილია და ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპლექსური დავალებებით მუშაობას, რაც თავისთავად წარმოადგენს სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. შერჩეული და განხორციელებული კომპლექსური დავალებების განხილვისას გამოიკვეთა, რომ კათედრა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე აღინიშნა მოსწავლეების მაღალ ჩართულობა სასკოლო პროექტებში და საკლუბო აქტივობები რაც აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ შეძლონ გამოწვევების მიღება, ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და მაღალი თვითეფექტიანობა. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გამოკვეთეს, რომ ის აქტივობები, რომელსაც კომპლექსური დავალებები მოაიზრებს, ეხმარება მათ მოსწავლეებს განივითარონ გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს დაწყებით საფეხურზე, პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული ძლიერი მოტივაციისა და აქტიური ჩართულობის შესახებ. **სპორტის** კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ჩატარდა და სამომავლოდაც იგეგმება სპორტული ფესტივალები, რომელშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. სასკოლო სპორტული ფესტივალები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ცოდნისკონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების I – IV და V - VI კლასის კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგან მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები, სადაც ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. **უცხოური ენების კათედრაზე** სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური დავალებების პირობა ფორმულირებულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში შემავალი თემები და საკითხები, ასევე საკითხის შიგნით მოცემული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის, ახალი ცოდნის მიიღება წინარე ცოდნის *გათვალისწინებით ხდება.* **ტექნოლოგიების** კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს მისთვის ნაცნობი -კონტექსტ. მაგალითებით მინიშნებული პრობლემების გადაჭრა და შედეგად საინტერესო პროდუქტის შექმნა. წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით განახორციელებენ. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს მოუწევთ გარკვეულ პრობლემების გადაჭრა, ამისათვის კი მათ დასჭირდებათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კომპლექსური ბუნების დავალება - ესაა ისეთი დავალება, რომლებიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თავად ააგოს ცოდნა, წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. თავად სიტყვა "კომპლექსური"

მიუთითებს, რომ ამ ტიპის დავალების განხორციელება მრავალი მიმართულების ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით შეიძლება . ეს იქნება ტექსტის გაგება-გააზრება, გრამატიკული საკითხები, სხვადასხვა სამეტყველო ქმედების აქტიური ცოდნა და სხვა. ამ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით და წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სწორედ ამ წინარე ცოდნას, და მის კავშირს ახალთან, ითვალისწინებს ის კონტექსტმაგალითები, რომლებიც კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შეირჩა და გაიწერა **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში. ინტერვიუების დროს მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ და მეტ დროს დაუთმობენ წინარე ცოდნის გასააქტიურებელ აქტივობებს, რათა ხელი უკეთ შეუწყონ ცოდნის კონსტრუირების პროცესს. რადგანაც საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ამ მიმართულებით სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად აქვს გამოკვეთილი დაწყებითი საფეხურის **მათემატიკის** კურიკულუმში თემები და საკითხები თანმიმდევრულად, რომლებიც თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ეტაპებიც გაწერილია ისე, რომ მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს მზაობა სწავლების კონსტრუქტივისტული მოდელით წარმართვის შესახებ და ისაუბრეს , თუ როგორ, როდის და რა მეთოდით განახორციელებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. სკოლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებიდან იკვეთება: ეტაპი I. .მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა. ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენი დავალება? რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ? რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება? აღნიშნული კითხვებით პროცესების წარმართვა უშუალოდ კომპლექსური დავალების გაცნობის პროცესში, მოსწავლეს ეხმარება თვითრეფლექსიაში და საჭიროებების იდენტიფიცირებაში.**სპორტის** კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. კურიკულუმში აქცენტი გაკეთდება მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტებზე, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს კომპლექსური დავალების შესრულება. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ახალი ცოდნის კონსტრიურება განახორციელონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილ I-IV და V - VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, კომპლექსური დავალების მატრიცებსა და შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილია კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაზე. რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას კომპლექსური დავალების

წარდგენისას გააკეთოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, გააანალიზოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩაერთოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში. **საზოგადოებრივ მეცნიერებების** კათედრის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. **უცხოური ენების** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან. რაც გულისხმობს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, ა) კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ბ) სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. გ) მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. დ) წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. როგორც მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. იგი მისცემს მოსწავლეს საშუალებას, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე და მისთვის ყველაზე მოსახერხებელ გზებს მიაგნოს. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თვითანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. მნიშვნელოვანია მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე, სტრატეგიებზე, რომელსაც გამოიყენებენ დავალების შესრულების პროცესში, შესრულების შემდეგ კი, იმსჯელონ რა ნაბიჯები გადადგეს, რას შეცვლიდნენ ახლიდან რომ აკეთებდნენ დავალებას და ა.შ. **ტექნოლოგიების** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს იზრუნოს საკუთარი თავის განვითარებაზე, თავად მოიძიოს ინფორმაცია, თავად ეძიოს პრობლემის გადაჭრის გზები, შემოქმედებითად მიუდგეს დავალების შესრულებას და მინიმუმ პრეზენტაციისას თავადვე შეაფასოს შესრულებული დავალება-შექმნილი პროდუქტი-ისწავლოს, თუ როგორ დაგეგმოს დავალების შესრულების ეტაპები, როგორ მოახდინოს მისი მონიტორინგი და საბოლოოდ შეაფასოს და მოიფიქროს

გაუმჯობესების გზები. **სახელმწიფო ენა** სწავლის სწავლა" - ერთერთია იმ ხუთი საგანმანათლებლო პრინციპიდან, რომლებსაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. ეს კი გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ გაკეთებულ მეტაგონიციას - რა გავაკეთე, რა ნაბიჯები გადავდგი, რა სტრატეგიები და ხერხები გამოვიყენე იმისთვის, რომ ესა თუ ის აქტივობა, დავალება შემესრულებინა. სწავლის სწავლა აგრეთვე მოიაზრებს იმის გააზრებასაც, თუ როგორ შეიძლება შესრულებული ნამუშევრის გაუმჯობესება კრიტერიუმების გამოყენებით. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ კომპლექსური ბუნების დავალებებზე დართული რეფლექსიური შეკითხვები მოსწავლის თვითშეფასების უნარის გასაუმჯობესებლად და წინსვლის ხელშესაწყობად. მაგალითად, ასეთი შეკითხვებია: რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესრულებისას? რომელი სტრატეგიები გამოიყენე? რა გამოგივიდა კარგად? რა გაგიძნელდა და □რატომ? რას შეცვლიდი, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და სხვა **მათემატიკის** კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს...,რაც ხალს უწყობს მეტაკოგნიციას, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასებისათვის ბარათების შექმნას. **სპორტის** კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად ეკითხებიან მოსწავლეებს თუ რომელი აქტივობა შეასრულა სწორად და რომელი არასწორად, რა შეიძლებოდა შეეცვალა თავიდან რომ შეეძლოს ფიზიკური აქტივობის შესრულება. ეს ეხმარება მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში, თემების მიხედვით შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით, რაც მოსწავლეს უადვილებს სასწავლო პროცესი დააკავშიროს ყოველდღიურ ცხოვრებასთან, გაიაზროს სასწავლო პროცესში დამუშავებული საკითხების და თემების მნიშვნელობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებებში** კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმნტში ნათლადაა აღნიშნული, რომ კომპლექსურ დავალებებების მომავალში უფრო მეტი ინტენსივობით განხორცილდება. **უცხოური ენების** დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამაში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა. სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. გაეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), დასვამს და უპასუხებს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მოსწავლე ასევე შეიმუშავებს მოქმედების წესებს და ალგორითმებს და შეასრულებს მას, შეძლებს ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამოიმუშაოს გარკვეული უნარები. მაგალითად ტექსტის დამუშავებისას იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. *(უცხო ენების **რჩევა:** შეარჩიეთ ისეთი აქტივობები მარტივიდან რთულისკენ რომლებიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგ: multiple-choice questions- არჩევით პასუხიანი კითხვები, true/false - ჭეშმარიტია მცდარია წინადადებები, gap fill - წინადადებაში გამოტოვებული ადგილას სიტყვის ჩასმა, finish the sentence with your own words - დაასრულე წინადადება საკუთარი სიტყვებით, answer the questions - უპასუხე შეკითხვებს, აღწერე სურათი და ა.შ.)* **ესთეტიკურ აღზრდაში** ხელოვნებისა და მუსიკის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ

თემებსა და კომპლექსურ დავალებების პირობებში, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე, რადგან კომპლექსური დავალებები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეთა მხრიდან მათი შესრულება ითვალისწინებს ამ ცოდნათა დაუფლებას. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას ახალ სასწავლო წელს მეტი ინტენსივობით იმუშაონ მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გაღრმავებაზე. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. **სახელმწიფო ენაში** წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, სავარჯიშოები, შეკითხვები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. ამას ხელს უწყობს ის კონტექსტმაგალითებიც, რომლებიც თან ახლავს კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - საბოლოო პროდუქტი. **მათემატიკის** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, როგორც მთავარი რესურსი. კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელებით მოსწავლეს საშუალება აქვს მიიღოს ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა. **სპორტის** კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულება მოითხოვს ფაქტობრივ ცოდნას, რასაც მასწავლებლები უზრუნველყოფენ კურიკულუმში ჩაშენებული მრავალფეროვანი რესურსით, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გააზრებას და ადეკვატურად გამოყენებას კონკრეტულ მოცემულობაში და სხვადასხვა კონტექსტში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიდან და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო (გრძელვადიანი და შუალედური) მიზნები, მიზნის მისაღწევად შერჩეული თემები და საკითხები, კომპლექსური დავალებები, კათედრაზე განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები იძლევა საშუალებას მოხდეს საგნების ურთიერთდაკავშირებულად სწავლება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, საგნებში ჩვენი საქართველო და მე და საზოგადოების წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის საზოგადოებრივი კათედრას დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების დანერგვის და განხორციელების მზაობა აქვს. **უცხოური ენები** საგნობრივი კურიკულუმი, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემა ეს არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ესთეტიკური აღზრდაში** სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსურ დავალებების იდეა/პირობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის

ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას სკოლა უზრუნველყოფს ინტეგრირებული გაკვეთილებითა და პროექტებით, მომავალში აპირებს შექმნან მოსწავლეთა სრულყოფილი პორტფოლიო. **ტექნოლოგიების** კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ის ძირითადად ხელმძღვანელობს ელექტრონული რესურსით School.emis.ge, რომელიც ყველა სამიზნე ცნებაზე მოიცავს კომპლექსურ დავალებებს, გასულ სასწავლო წელს მოსწავლეები ახორციელებდნენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე-პრობლემის გადაწყვეტაზე, გამოსავლის მოძებნაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელება თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებელმა თხოვნის შედეგად ნიმუშად წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც ადასტურებენ მასწავლებლის მიერ კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეთა ჩართულობას, შემოქმედებით მიდგომას და ცოდნათა ურთიერთკავშირს. **სახელმწიფო ენის** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, სავარჯიშოები, შეკითხვები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. ამას ხელს უწყობს ის კონტექსტმაგალითებიც, რომლებიც თან ახლავს კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - საბოლოო პროდუქტი. გარდა აღნიშნულისა, ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილები, რომელთა ჩატარების გამოცდილებაც სკოლას აქვს და მომავალში კიდევ უფრო მეტად ეცდება ამ კუთხით მუშაობის გამრავალფეროვნებას. **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინტერვიუს დროს ხაზგასმული თანამშრომლობა კათედრებს შორის ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის განხილვის დროს, მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება ის კითხვები და აქტივობები, რომელთა დახმარებითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კითხვები ამოწმებს როგორც ფაქტობრივ ცოდნას, ასევე ამ ცოდნის გამოყენების საშუალებაზე აფიქრებს მოსწავლეს და აქვე სთავაზობს ისეთ შეკითხვებს/აქტივობებს სადაც მოსწავლემ ამ ცოდნის გამოყენებით უნდა გადაჭრას პრობლემა. **სპორტის** კურიკულუმში ისეა კომპლექსური დავალებები დაგეგმილი, რომ შესაძლებელი იყოს, მოახდინონ სხვა საგანთან ინტეგრირება და ამით ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები გეგმავენ უფრო ინტენსიურად იმუშაონ საგანთა შორის

კავშირზე და წინასწარ შეათანხმონ ისეთი საკითხები, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს, რათა შემდეგში განახორციელონ ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განხორცილებებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით . ყველა კლასის კურიკულუმებში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. I – IV კლასის კურიკულუმებს თან ახლავს კომპლექსური დავალების პირობა - მატრიცა, დავალების შესრულების ეტაპებით და აქტივობებით, საჭირო რესურსებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და დიაგნოსტიკური ტესტირების ინსტრუმენტით.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გაცნობიერებული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი კათედრის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებს, საგნობრივ საკითხებს და სასწავლო რესურსებს შორის. ყველა საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

რჩევა: სასურველია, მუსიკის კურიკულუმში მითითებული იყოს კომპლექსური დავალებების ოპტიმალური რაოდენობა.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

კურიკულუმების ცხრილში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გაანალიზებისა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცმეული საკითხები მოსწავლეებისთვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან დაკავშრებულია ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტთან. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებსა და სხვა არაფორმალური აქტივობებზე მუშაობის პორცესში ხელს შეუწყობენ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაონ გუნდურად, გაუმკლავდნენ სირთულეებს, ბარიერებს, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ამოიცნონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, მართონ ემოციები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს.**ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი (I – IV კლასის) და განმსაზღვრელი (V – VI კლასის) შეფასების რუბრიკების მიხედვით შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში იკვეთება, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლეების ფუნქციური უნარების განვითარებაზე (შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა და სხვა) და ორიენტაცია ხდება სწავლის პროცესის გაანალიზებაზე (მეტაკოგნიტური უნარები). ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.სწავლა-სწავლებისას ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას.

ინტერვიუს დროს მასწავლებმებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიას, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებებს და სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკებს, რომლებიც წარმოდგენილია მასალებში.სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს შეფასების პრინციპები, რაც შეესაბამება ესგ-ს. აღნიშნულის შესაბამისად I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში გამოიყენება როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელ შეფასებას აწარმოებენ სამი კომპონენტით (დავალება, საკლასო ჩართულობა და შემაჯამებელი), გარდა ამისა, გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემიური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარ-ჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი... ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო

ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების გამოცდილებისა და მისი შემდგომში დანერგვის შესახებ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

წარმოდგენილი რუბრიკების განხილვისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება ახალი რუბრიკების შექმნა, ხოლო უკვე არსებულის დახვეწა. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური. სასურველია მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეები გაეცნონ შეფასების რუბრიკებს, თავადაც მიიღონ მონაწილეობა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაში, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას და დაეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლას გააზრებული აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების სისტემის მნიშვნელობა. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები დაეყრდნობა დავალების პირობას და შესაბამისი იქნება სასწავლო მიზნებთან მიმართებით. აგრეთვე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება რომ სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრაზე ამას ახორციელებენ: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციით (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა), შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (შეფასების რუბრიკით მოსწავლის ნამუშევრის ხელმეორედ შეფასება) და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოს, კომპლექსური დავალებების და სხვა) ვერიფიკაცია. ჰყავს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხიმგებელი პირი - დირექტორი, თუმცა სხვა პირების პასუხისმგებლობები დოკუმენტში გაწერილი არაა. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესი, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სკოლას არ აქვს შეფასების ვერიფიკაციის გამოცდილება.როგორც მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, შეფასების სისტემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლაში კათედრების მიერ ხორცილედება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, თუმცა სადიაგნოსტიკო წერები არ ჩატარებულა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი მეთოდით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. ეს განაპირობებს იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

ახალ 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია განხორციელდება სისტემატურად. სკოლის აზრით ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელება საშუალებას მისცემს სკოლას დაინახოს, თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და წარმოადგენს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის დასაყრდენს.**ინდიკატორი 2.2.2.5.დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების წევრებთან

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დებულების მიხედვით იცავენ დოკუმენტაციის შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შემაჯამებელი სამუშაოები ინახება მატერიალური მტკიცებულებების სახით სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“. სკოლა ინახავს დოკუმენტებს სამი წლის ვადით.სკოლა უზრუნველყოფდა არსებული მატერიალური საკლასო ჟურნალების შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით, მაგრამ ამჟამად ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ადმინისტრირების კუთხით დოკუმენტაციის ნაწილი დაცულია და ინახება ელექტრონულ პორტალზე E-flow-ს სისტემაში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ბრძანება ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პ/პირის განსაზღვრის შესახებ.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ურთიერთდასწრების საფუძველზე კათედრის ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენებას ეფუძნება. მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, გამოკვეთენ სასწავლო პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში ქმნის მხარდამჭერ გარემოს, რაც, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა მხრიდან, მიმღებლობისა და თანამშრომლობის ხარისხს აუმჯობესებს. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს არფორმალური განათლება (მაგ, მკითხველთა კლუბი). პედაგოგები გეგმავენ წინასწარ კარგად შეისწავლონ მოსწავლის საჭიროებები, შეხვდნენ მშობლებს და დაადგინონ მათი და მათი შვილების ფსიქოემოციური მდგომარეობა და გაითვალისწინონ სწავლა- სწვლების პროცესში. სასწავლო პროცესის შუაგულში დგას მოსწავლე და მისი ინტერესები, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. იგრძნობა, რომ სკოლაში ჯანსაღი , მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოა.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები.

მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი განსაზღვრონ, თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საუკეთესო საშუალებად ხედავს კომპლექსური ბუნების დავალებებს,, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა,, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კათედრების მიერ წარმოდგენილი

საგნობრივი კურიკულუმები, შერჩეული თემები და საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და მოსწავლეზეა ორიენტირებული, თანდართული კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღრმისეული გააზრების, პროგრესის საშუალებით. ფასდება მოსწავლის წინსვლა, სად იყო და სად მივიდა და არა მის მიერ საგანზე დახარჯული დრო. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზეა ორიენტირებული და მორგებულია მის ინტერესსა და საჭიროებას. სკოლაში იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. □კოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის რეგულაციები. □ხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვას ახლო მომავალში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი მეტად მოქნილი გახდეს. მასწავლებლების აღნიშვნით, სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით. ამგვარად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სასკოლო პროექტებზე, კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, შეფასების ფორმების ერთობლივი დაგეგმვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. კომპლექსური დავალების განხორცილება საკლასო ოთახში ქმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. ჩანს მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილები და კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროექტები,

რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, ჯგუფის წევრები პერიოდულად ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და აანალიზებენ სასწავლო პროცესს, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ სხვა კოლეგების პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე. კათედრებზე ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ახორციელებენ აქტივობებს, აანალიზებენ შესრულებულ სამუშაოს , ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მასწავლებლები სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სასკოლო პოზიტიური გარემო, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის ეზოს გამწვანებასა და კეთილმოწყობაში, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ ღონისძიებებში. კლასის დამრიგებლების მიერ ტარდება სხვადასხვა აღმზრდელობითი საუბრები, ტარდება ღონისძიებები მშობლების აქტიური ჩართულობით.

პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მუდმივად ხორციელდება მრავალფეროვანი და საინტერესო სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, შემეცნებითი ვიზიტები და ექსკურსიები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ასევე სკოლას ყავს თვითმმართველობა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა იყენებს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფაქტორებს, კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისებას მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებს, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს და სხვა. თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე

დაფუძნებულ პოლიტიკას. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, პედაგოგები ფორმალურ განათლებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არაფორმალურ განათლებასაც, ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც ხალისით მონაწილეობენ მოსწავლეები. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის ხელოვნებისდა მუსიკის I-VI კლასის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
- განხორცილებებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია (საზოგადოებრივი მეცნიერებები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მეშვეობით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის, შეფასების და რევიზიის ეტაპები. დოკუმენტში განსაზღვრულია მასწავლებლის როლი, რომელმაც უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, კათედრის თავმჯდომარის ვალდებულება, რომელმაც უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით უმნიშვნელოვანესია სკოლის დირექციის ფუნქცია, რომ უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს - ფასილიტაცია გაუწიოს და გაამთლიანოს კათედრების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრა და ხარისხის განვითარების ჯგუფი ურთიერთდასწრებას ახორციელებს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. მონიტორინგი მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრების პარალელურად. მაგალითად, USAID-ის ფარგლებში მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრები. კათედრის სხდომებსა და შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, აზრსა და იდეებს

კომპლექსური დავალებების უკეთ დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ? ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომების გაანალიზებაზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა. მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სისტემატურად ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება, მათ შორის გაკვეთილებზე მასწავლელთა ურთიერთდასწრებების შემდეგ მასწავლელთა მიერ რეფლექსიების წარდგენა, შემდეგ კი უკუკავშირების გათვალისწინება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისათვის.

მათ აღნიშნეს, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლელს გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აძლევს უკუკავშირს. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლა შეიმუშავებს ფორმას, სადაც გაწერილი იქნება მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ახალი შესაძლებლობების და საშუალებების გამოკვეთა. **ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას იდენტიფიცირებული იქნება მიღწევები და პრობლემები, მოხდება მათი შეფასება/ანალიზი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ - პროცესის განხორციელების მექანიზმი გაწერილი არ არის. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ მიიღო რჩევა სკოლამ გაითვალისწინოს და დოკუმენტში დეტალურად გაწეროს მექანიზმი.დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრულია ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახულია ცვლილებების სახით. შეფასება გულისხმობს პროცესების შეფასებას მათი შესაბამისობის, ქმედებითობის, ეფექტიანობის, გავლენისა და მდგრადობის თვალსაზრისით. თითოეული ეს კომპონენტი ითვალისწინებს კვლევით კითხვებს, რომელსაც შეფასების პროცესი პასუხობს. კითხვაზე პასუხები კი არის სამოქმედო გეგმის ნაწილი. სკოლა

ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყოფს სამუშაო ჯგუფს, რომელიც ცხრილის სახით გაწერს კურიკულუმზე მუშაობის კითხვარს, სადაც სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა,რასაც ასახავს ცვლილებების სახით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- დაწყებითი საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია;
- განხორციელებული შეფასების ანალიზი.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმომოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საწავლო პროცესის შეფასება ეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში

ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესაც და პედაგოგსაც აძლევს ინფორმაციას სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც თავის მხრივ მასწავლებელს უადვილებს, რომ დაინახოს მოსწავლის საჭიროებები და პროგრესი, ხოლო მოსწავლეს კი აძლევს იმის საშუალებას, გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ყველაზე უფრო ხშირად - ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრების (დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრების მიერ), ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. რათა სასწავლო პროცესის შეფასება გახდეს უფრო ინფორმაციული, უფრო ეფექტური, სკოლის დირექცია სამომავლოდ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას, დახვეწას და შესაბამისი დოკუმენტების უფრო სრულყოფილად და ხარისხიანად მომზადებას.
ინდიკატორი 2.3.2.1.დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლას აქვს გამოცდილება, შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აკვირდებიან გარემო ფაქტორების გავლენას მიღებულ შედეგებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების მნიშვნელობა. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია: „სკოლაში ხორციელდება საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების შეფასება, მომავალში სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარებას“. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია, ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას ესენია: მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო, ურთრიერთობები თანატოლებთან, ქცევები სოციუმში., არაფორმალურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვა წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებს ახლავს ახლავს შეფასების ფორმები (მათ შორის - სოლოტაქსონომია). წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას ითვალისწინებენ საკლასო და საშინაო დავალებებს. შეგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეთა მიღწევებისა და, საზოგადოდ, სასკოლო ცხოვრების გამუჯობესებისათვის. ამავე დროს სკოლა გამოხატავს მზაობას, უფრო მეტად დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას.

ინდიკატორი 2.3.2.2.დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

შეფასება - ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისა. მასწავლებლები იყენებენ მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. მოგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საშინაო და საკლასო დავალებები. სკოლაში მომავალში იგეგმება სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება. შეფასებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა . ამ პროცესის დროს მოსწავლეებზე ზე დაკვირვება და მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია,) გამოყენებით. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. რადგან მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტური მიდგომას. **ინდიკატორი 2.3.2.3.დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასების დროს ითვალისწინებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა

მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- შეფასების რუბრიკები.
- განხორციელებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა; ინტერვიუ კათედრის წევრებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ანუ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია იწყება - ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით კათედრის წევრები, მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადგენენ პრობლემას და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გაწერენ რეკომენდაციათა პაკეტს, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. უნდა აღინიშნოს, სკოლას ამ მხრივ არ აქვს გამოცდილება, რადგან წინა წლებში შემუშავებული ჰქონდა თემატური გეგმები. როგორც კათედრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად სკოლა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს პროცესების რეფლექსიას, მიღწეული შედეგების აღწერას და წერილობითი სახით წარმოადგენს რეფლექსიის შედეგებს, რომელიც გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მექანიზმები თუ როგორ მოხდება კურიკულუმის რევიზია, მონაცემების შეგროვება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესწავლა.

ინდიკატორი 2.4.1.1 - დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლამ წელს პირველად შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შედარებით გამართული დოკუმენტია, მისი შექმნა მოხდა ქოუჩინგის პროცესში და სასწავლო წლის დაწყებამდე მოიყვანეს შესაბამისობაში მოთხოვნებთან. სკოლას აქვს მზაობა, მომავალში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე

გამოცდილებაზე, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები, დასახოს გადაჭრის გზები. ინდიკატორი 2.4.1.2 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება - საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი და ჩამოთვლილია პასუხისმგებელი პირების - კათედრის წევრების (საგნის მასწავლებლების), კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქციები. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება, თემებზე, მიზნებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე შეთანხმება ხდება კათედრაზე და კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. დოკუმენტის გაანალიზებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. მოაწყვეს მშობელთა კრებები, სადაც გააცნეს სიახლეები (კომპლექსური დავალებები). მშობლთა ინფორმირების მიზნით ჩატარდა მშობელთა კრებები - გააააცნეს სიახლეები და მომავალში გეგმავენ მშობლის ბარათის მიწოდებასაც. დოკუმენტში ჩამოთვლილია თუ რა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და სხვა) . მოცემულ დოკუმენტში სასურველია დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობის გზები (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები). **ინდიკატორი 2.1.1.1 - დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, საბაზო საფეხურის VII – IX კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების, ანალიზის, მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მოხდა ახალი კურიკულუმის შემუშავება. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას. **ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, შუალედური მიზნების სახით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. თანხმდებიან სწავლა - სწავლების პროცესში დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭირო სტრატეგიებზე, მეთოდებსა და რესურსებზე. კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა გამოიხატება მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ხოლო მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო თუ საგანმანათლებლო პროექტებში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მათი ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3 - დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია და ჩამოთვლილია ყველა საკომუნიკაციო არხი, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის გაზიარება, რათა იგი საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადობის ნებისმიერი წევრისთვის (მაგ: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერზე, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები). თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ VII - IX კლასის საგნობრივი კურიკულუმების განხილვა და გაანალიზება ხდება კათედრაზე, მშობლების ინფორმირებისთვის კი გამოიყენეს მშობელთა კრება და მომავალში იგეგმება მშობლის ბარათის

გამოყენებასაც. სკოლას აქვს თავისი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ში, რომელშიც პერიოდულად განათავსებს სკოლაში განხორციელებულ აქტივობების ამსახველ მასალებს. https://www.facebook.com/profile.php?id=100041453845705
სკოლა EMIS-ის მიერ შექმნილ ვებგვერდზე აქტიურ მუშაობას მიმდინარე სასწავლო წლიდან განახორციელებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- დაწყებითი საფეხურის, I-VI კლასის საგნობრივი კურიკულუმები.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და

განვითარების გზას; VII - IX კლასის კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბასმისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები და საჭირო რესურსები. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, დავალებების შერჩევა მოხდა კათედრებზე მოსწავლეთა მზაობის, ინტერესების, საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას.

საფეხურის კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობა გაგრძელდება და უფრო დაიხვეწება.

სასურველია მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება ბიოლოგიასა და ქიმიაში - მასწავლებელმა კონტექსტ მაგალითის სახით გამოიყენოს მოსწავლისთვის ნაცნობი, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მაგალითები.

ათემატიკა - სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის, 7-9 კლასების კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, თუმცა არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, რაც იქნებოდა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. გაწერილია მრავალფეროვანი რესურსები მხოლოდ იმ თემებისათვის სადაც კომპლექსურია დაგეგმილი, ხოლო რიგი თემების შესაბამისად საერთოდ არაა მითითებული რესურსი, მაგალითად მე-7 კლასი თემა ანალიზური გეომეტრია და გარდაქმნები, ასევე გეომეტრიული ფიგურები. მსგავსი მდგომარეობაა მე-8 და მე-9 კლასებშიც.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს მეტნაკლებად გააზრებული აქვთ როგორ დააკავშირონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებთან, გამოკვეთეს ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელსაც თავად მოსწავლე აწარმოებს. შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად კათედრა განიხილავს კომპლექსურ დავალებებს, რაც ასევე ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

რჩევა: მათემატიკის კურიკულუმებში სასწავლო რესურსები გავწეროთ ყველა თემის შესაბამისად, სასურველია მრავალფეროვნება მაგალითად გრიფირებული საახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ელ, რესურები და ა.შ... რაც მოგვცემს საშუალებას სასწავლო პროცესი მეტად გავხადოთ ორიენტირებული მოსწავლეზე. მოვიძიოთ მაგალითები

შედარებისთვის და შევავსოთ შესაბამისი სვეტი კურიკულუმის ჩარჩოში, რადგან მოსწავლემ შეძლოს შესწავლილი მასალის განზოგადება განსხვავებულ კონტექსტშიც.

2.1.2.1.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმებში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფური მუშაობის, პროექტებზე მუშაობის დროს), პროცესის ბოლოს კი უწევს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, კათედრებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოცემულია დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგები, გლობალური ფუნქციური უნარები(პროექტული სწავლება), მაკრო ცნებები (კვლევაზე დაფუძნებული სწავლება), გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები და შედეგები (კომპლექსური დავალება). წარმოდგენილი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და შეფასების რუბრიკების განალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს, ფუნქციურ უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს.

შერჩეული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეებს კომპონენტური უნარების განვითარებაში. მოსწავლეს მოუწევს ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს. გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს.

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით ხდება გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაც, რასაც ასევე ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლება სხვადასხვა პროექტების მეშვეობით: საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება, წითელი წიგნი და წითელი ნუსხა და ა>შ.

სასურველია ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში განახორციელონ ექსპერიმენტები, განახორციელონ კვლევითი ტიპის დავალებები.

2.1.2.2.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვის და ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მოახდინონ დიფერენცირება შინაარსის, პროცესის, პროდუქტების მიხედვით რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, დავალების მატრიცა შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაცია, სადაც ასახულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროგრამა. ასევე, სკოლაში შექმნილია ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც შედიან სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი. აგრეთვე, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ. მათთვის შექმნილია უსაფრთხო და ადაპტირებული გარემო. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

კურიკულუმი დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ყავს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზით ნათლად იკვეთება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება.

2.1.2.3.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასებისა ურთიერთშეფასების რუბრიკებს. მოსწავლეები წინასწარ ინფორმირებული არიან შეფასების რუბრიკების შესახებ. შეფასების რუბრიკები დგება საგნობრივ კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით და შეთანხმებით.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

განმავითარებელი შეფასების სახეებიდან განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარებს. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით, გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია.**2.1.2.4.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) და ჩატარებული ინტერვიუდან ირკვევა, რომ კათედრებზე ხდება სწავლა - სწავლების პროცესში არსებული წინარე წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, რის საფუძველზეც კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აქტიურად მიმართავენ გაკვეთილებზე დასწარებას. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მომავალშიც მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდება კურიკულუმის გადამუშავება.

სკოლის სურვილი და მზაობაა მთლიანად ჩაერთოს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესებში, დააგროვოს შესაბამისი გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებს მომდენო სასწავლო წელს კურიკულუმის შემუშავებისათვის.

მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

2.1.2.5.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინდ. სასწავლო გეგმა (მუსიკა, ხელოვნება)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი იძელვა მოწავლის აქტიურ შემოქმდებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** სწავლა - სწავლების პროცესი წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარებული გამოფენები, კონფერენცია, როლური თამაშები, არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური ტიპის დავალებებით სწავლების გამოცდილება, ასევე სასწავლო პროექტების ფარგლებში შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტები: კათედრაზე მოქმედებს ეკო კლუბი სალხინო, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული აქვთ სახვადასხვა პროექტები, კვირეულები, აქციები და აქტივობები. კლუბი არის კეცხოველის პრემიის ფარგლებში განხორციელებული კონკურსის ,,მწვანე ჯილდოს" ნახევარფინალისტი. მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა სასწავლო პროექტები, რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. დაგეგმილი აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. საგნებში ისტორია, მოქალაქეობა და გეოგრაფიაში შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო

პროცესში. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **უცხოური ენების** კათედრის მიერ დაგეგმილი და დაწერილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლი ქმნის გარემოს სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **ესთეტიკურ აღზრდაში** ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები თუ კომპლექსური ბუნების დავალებები და მათში ასახული შინაარსი, მოსწავლეთა მიერ შესაქმნელი პროდუქტი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას თვითშეფასების განაცხადში და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნულია, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში და ქმნიან პროდუქტს (უვითარდებათ წერის უნარი, დისკუსის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარი), რაც ეხმარება მოსწავლეს გახდეს შემოქმედებითი პროცესის მონაწილე. **სახელმწიფო ენის** კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში, რადგანაც კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელება გულისხმობს მოსწავლის აქტიურობით, მოსწავლის ძალისხმევით შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს. ესაა დავალება, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის სემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გააქტიურება. მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას; რომ ყოველ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ აქტივობის განხრციელებაში, თავისი მზაობისა და შესაძლებლობების ფარგლებში. **მათემატიკის** კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, თუმცა გამოთქვეს მზაობა შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომპლექსური დავალებებით მუშაობას, რაც თავისთავად წარმოადგენს სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. შერჩეული და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების განხილვისას გამოიკვეთა, რომ კათედრა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე აღინიშნა მოსწავლეების მაღალ ჩართულობა სასკოლო პროექტებში და საკლუბო აქტივობები რაც აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ შეძლონ გამოწვევების მიღება, ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და მაღალი თვითეფექტიანობა. **სპორტის** კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ჩატარდა და სამომავლოდაც იგეგმება სპორტული ფესტივალები, რომელშიც

სხვადასხვა კლასის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. სასკოლო სპორტული ფესტივალები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნებში ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგან ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის კურიკულუმები, სადაც ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში და ახორციელებენ სკოლისათვის და თემისთვის მნიშვნელოვან პროექტებს. **უცხოური ენების** სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური დავალებების პირობა ფორმულირებულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. **ესთეტიკური აღზრდაში** ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში შემავალი თემები და საკითხები, ასევე საკითხის შიგნით მოცემული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის, ახალი ცოდნის მიიღება წინარე ცოდნის *გათვალისწინებით ხდება.* სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ცოდნის კონსტრიურებას სკოლა ახდენს სხვადასხვა მეთოდის

გამოყენებით: ხარაჩოს მეთოდი, ინტერაქტიული მეთოდები, ითვალისწინებენ მოსწალის შესაძლებლობებსა და ინტერესებს, აქტიურად მიმდინარეობს პროექტებით სწავლება, რომელიც სხვადასხვა პრობლემაზეა ორიენტირებული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, გარემოს დაცვა). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კომპლექსური ბუნების დავალება - ესაა ისეთი დავალება, რომლებიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თავად ააგოს ცოდნა, წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. თავად სიტყვა "კომპლექსური" მიუთითებს, რომ ამ ტიპის დავალების განხორციელება მრავალი მიმართულების ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით შეიძლება. ამ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით და წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სწორედ ამ წინარე ცოდნას, და მის კავშირს ახალთან, ითვალისწინებს ის კონტექსტმაგალითები, რომლებიც კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შეირჩა და გაიწერა კურიკულუმებში. **სახლემწიფო ენის** კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ და მეტ დროს დაუთმობენ წინარე ცოდნის გასააქტიურებელ აქტივობებს, რათა ხელი უკეთ შეუწყონ მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების პროცესს. **მათემატიკაში** წარმოდგენილი საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ეტაპებიც გაწერილია ისე, რომ მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს მზაობა სწავლების კონსტრუქტივისტული მოდელით წარმართვის შესახებ და გამოკვეთეს, რომ ყოველი ახალი გაკვეთილი იგეგმება წინარე ცოდნის გააქტიურებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, კითხვა-პასუხი, მარტივი ქვიზი და ა.შ... კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, მის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას. ყოველი ახალი თემის განხილვისას ისმება საკვანძო კითხვები და წინარე ცოდნის გააქტიურებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. ამისათვის **სპორტის** მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კურიკულუმებში მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტმაგალითები, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს ახალ დავალებაზე მუშაობა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ სწავლის სწავლას (მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას). კომპლექსური დავალების მატრიცასა და წარმოდგენილ

შეფასების რუბრიკაში მოცემულია კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. ინტერვიუში აღინიშნა, რომ მომავალშიც სწავლების პროცესში დიდი ყურადღება მიექცევა სწავლის სტრატეგიების განვითარებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** კათედრის წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მომავალში, კურიკულუმის დახვეწასთან ერთად მასწავლებლები მეტად აქტიურად გამოიყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს. **უცხოური ენების** საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან. რაც გულისხმობს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, ა) კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ბ) სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. გ) მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. დ) წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). **ესთეტიკური აღზრდაში** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. როგორც მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. იგი მისცემს მოსწავლეს საშუალებას, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე და მისთვის ყველაზე მოსახერხებელ გზებს მიაგნოს. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თვითანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. მნიშვნელოვანია მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე, სტრატეგიებზე, რომელსაც გამოიყენებენ დავალების შესრულების პროცესში, შესრულების შემდეგ კი, იმსჯელონ რა ნაბიჯები გადადგეს, რას შეცვლიდნენ ახლიდან რომ აკეთებდნენ დავალებას და ა.შ. **სახელმწიფო ენა** - სწავლის სწავლა" - ერთერთია იმ ხუთი საგანმანათლებლო პრინციპიდან, რომლებსაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. ეს კი გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ გაკეთებულ მეტაგონიციას - რა გავაკეთე, რა ნაბიჯები გადავდგი, რა სტრატეგიები და ხერხები გამოვიყენე იმისთვის, რომ ესა თუ ის აქტივობა, დავალება

შემესრულებინა. სწავლის სწავლა აგრეთვე მოიაზრებს იმის გააზრებასაც, თუ როგორ შეიძლება შესრულებული ნამუშევრის გაუმჯობესება კრიტერიუმების გამოყენებით. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებებზე დართული რეფლექსიური შეკითხვები მოსწავლის თვითშეფასების უნარის გასაუმჯობესებლად და წინსვლის ხელშესაწყობად. ▯ მაგალითად, ასეთი შეკითხვებია: რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესრულებისას? რომელი სტრატეგიები გამოიყენე? რა გამოგივიდა კარგად? რა გაგიძნელდა და რატომ? რას შეცვლიდი, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და სხვა. **მათემატიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს..., ასევე აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას. კათედრას მიჩნია, რომ კომპლექსური დავალების შემდგომ მოსწავლის რეფლესია კარგი საშუალება იქნება მეტაკოგნიციის განვითარებისთვის. **სპორტის** კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომ წაახალისოს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ამან უნდა დააფიქროს მოსწავლე სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია, რაც უბიძგებს მოსწავლეს შინაგანი მოტივაციის გაზრდისკენ. ამასთან სწავლის პროცესში მასწავლებელი ხშირად ეკითხება, თუ რა შეასრულა კარგად და რა ვერ გამოუვიდა სათანადოდ, ამით უბიძგებს მოსწავლეს, რომ თვითონ დაფიქრდეს რა აქვს გასაუმჯობესებელი. მოსწავლე ჩართულია სპორტულ აქტივობებში და ეს მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში, თემების მიხედვით შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მოხდეს ორიენტირება. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებებში** -სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზეეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან,

რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ნათლადაა აღნიშნული, რომ კომპლექსურ დავალებებების მომავალში უფრო მეტი ინტენსივობით განხორციელდება. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება **უცხოური ენების** საბაზო საფეხურის საგნობრივ პროგრამაში. სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. გაეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), დასვამს და უპასუხებს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მოსწავლე ასევე შეიმუშავებს მოქმედების წესებს და ალგორითმებს და შეასრულებს მას, შეძლებს ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამოიმუშაოს გარკვეული უნარები. მაგალითად ტექსტის დამუშავებისას იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. **(რჩევა უცხო ენებში: შეარჩიეთ ისეთი აქტივობები მარტივიდან რთულისკენ რომლებიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგ: multiple-choice questions- არჩევით პასუხიანი კითხვები, true/false - ჭეშმარიტია მცდარია წინადადებები, gap fill - წინადადებაში გამოტოვებული ადგილას სიტყვის ჩასმა, finish the sentence with your own words - დაასრულე წინადადება საკუთარი სიტყვებით, answer the questions - უპასუხე შეკითხვებს, აღწერე სურათი და ა.შ.)**

ესთეტიკური აღზრდაში ხელოვნებისა და მუსიკის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებსა და კომპლექსურ დავალებების პირობებში, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე, რადგან კომპლექსური დავალებები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეთა მხრიდან მათი შესრულება ითვალისწინებს ამ ცოდნათა დაუფლებას. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას ახალ სასწავლო წელს მეტი ინტენსივობით იმუშაონ მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გაღრმავებაზე. **სახელმწიფო ენაში** წარმოდგენილ კურიკულუმები გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები , სავარჯიშოები, შეკითხვები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. ამას ხელს უწყობს ის კონტექსტმაგალითებიც, რომლებიც თან ახლავს კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - საბოლოო პროდუქტი. **მათემატიკის** კათედრას ყველა კლასში დაგეგმილი აქვს კომპლექსური

დავალებების განხორციელება, რომელთა შესრულების პროცესი მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებზე მუშაობისა, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს, როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნა და რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გადაწყვეტის მოძებნა. **სპორტში** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებს თან ერთვის რესურსები, რომლებიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, რომ შეიძინონ ფაქტობრივი ცოდნა - დეკლარაციული ცოდნა. კომპლექსური დავალების შესრულების სხვადსხვა ეტაპზე, მოსწავლე გამოიმუშავებს პროცედურულ ცოდნას. ბოლოს, დავალების შესრულებისას, ცოდნის მოქმედებაში გადატანა ხდება და გამოყენება კონკრეტულ მოცემულობაში - პირობისეული ცოდნა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიდან და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შერჩეული თემები, კომპლექსური დავალებები, კათედრაზე განხორციელებული პროექტები იძლევა საშუალებას მოხდეს საგნების ურთიერთდაკავშირებულად სწავლება. (მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები ქიმიასა და ბიოლოგიაში. ხელოვნების, ქიმიისა და ბიოლოგიის ერთობლივი პროექტი - ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე). **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, საგნებში ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის საზოგადოებრივი კათედრას საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების დანერგვის და განხორციელების მზაობა აქვს. **უცხოურ ენებში** სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმი, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემა ეს არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს

ოპერაციები აწარმოოს. **ესთეტიკურ აღზრდაში** სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსურ დავალებების იდეა/პირობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. სკოლის თვითშეფასების განაცხადში ღნიშნულია, რომ ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას სკოლა უზრუნველყოფს ინტეგრირებული გაკვეთილებითა და პროექტებით, მომავალში აპირებს შექმნან მოსწავლეთა სრულყოფილი პორტფოლიო. **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები , სავარჯიშოები, შეკითხვები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. ამას ხელს უწყობს ის კონტექსტმაგალითებიც, რომლებიც თან ახლავს კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - საბოლოო პროდუქტი. გარდა აღნიშნულისა, ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილები, რომელთა ჩატარების გამოცდილებაც სკოლას აქვს და მომავალში კიდევ უფრო მეტად ეცდება ამ კუთხით მუშაობის გამრავალფეროვნებას. **მათემატიკაში** საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, სკოლის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ინტერვიუს დროს ხაზგასმული თანამშრომლობა კათედრებს შორის ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. **სპორტის** კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება. მასწავლებლები კურიკულუმებს იმგვარად გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს, მოახდინონ სხვა საგანთან ინტეგრირება და ამით ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. სამომავლოდ გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის VII – IX კლასის საგნობრივი კურიკულუმები
- გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, შეფასების რუბრიკებისა და კომპლექსური დავალებების მატრიცების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ყველა კლასისა და ყველა საგნის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. შერჩეული კომპლექსური დავალებები კი ხელს უწყობს სამიზნე ცნების და მასთან დაკავშრებული მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასა და დამუშავებას. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით სკოლა გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ, როგორ აკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების

განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი კათედრის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებს, საგნობრივ საკითხებს და სასწავლო რესურსებს შორის. მაგალითად, საგანებში: ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. **2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

კურიკულუმების ცხრილში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გაანალიზებისა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცმეული საკითხები მოსწავლეებისთვის არ არის რთულად აღსაქმელი, თითოეული დაკავშრებულია ნაცნობ კონტექსტთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოვლენებთან (მაგ: საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით:თამბაქოს მოხმარება, წყლის დაბინძურება, კატაპულტის მოდელის დამზადება, ენერგოეფექტური სახლები და სხვა). მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებსა და სხვა არაფორმალური აქტივობებზე მუშაობის პორცესი ხელს უწყობენ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაონ გუნდურად, გაუმკლავდნენ სირთულეებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და აღნიშნული ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საგნობრივ კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაანალიზებისა და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. თემის ინდიკატორების და სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად, შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებისათვის იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს მიმართავენ თვითშეფასებას,

ურთიერთშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. საგნობრივი კათედრები სამომავლოდ გეგმავენ შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად ორიენტირებული მოსწავლეთა ინტერესებსა და შეხედულებებზე.ეროვნული სასწავლო გეგმა შეფასების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. შეფასების სისტემა და სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ (ფიზიკურ, კოგნიტურ და სოციო-ემოციურ) განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომდენო სასწავლო წელს შეფასების სისტემა ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლები საგნებისა და კლასების მიხედვით წინასწარ გაეცნობიან შემუშავებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები გაითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი 2.2.2.3.დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების განხილვისა შედეგად გამოიკვეთა- მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა . წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური. საგნობრივი კათედრების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა.

მაგ: მათემატიკის კათედრამ სანიმუშოდ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. შეფასების რუბრიკებში ჩაშლილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მასწავლებლებმა ისაუბრეს

მიზანზე ორიენტირებული ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილებაზე. კარგი იქნება თუ სკოლა დაგეგმავს და განახორციელებს სასკოლო კულტურის განვითარების მიზნით სასკოლო პროექტს, რომლის მიზანიც იქნება სკოლაში ერთიანი (ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი) სასკოლო შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვა, აღნიშნულის შესახებ ყურადღება გამახვილდა სკოლაში ვიზიტისას და რჩევის სახით ადგილზევე აღინიშნა სკოლის წარმომადგენლებთან

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება რომ სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრაზე ამას ახორციელებენ: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციით (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა), შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (შეფასების რუბრიკით მოსწავლის ნამუშევრის ხელმეორედ შეფასება) და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოს, კომპლექსური დავალებების და სხვა) ვერიფიკაცია. ყავს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხიმგებელი პირი - დირექტორი, თუმცა სხვა პირების პასუხისმგებლობები დოკუმენტში გაწერილი არაა. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესი, თუმცა სასურველია კონკრეტულად დეტალურად იყოს გაწერილი მექანიზმი და პროცესი . ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სკოლას დღემდე არ აქვს შეფასების ვერიფიკაციის გამოცდილება. შემუშავებული ვერიფიკაციის მიხედვით,ვერიფიკაცია ხორცილედება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის თვითშეფასების დოკუმნტში აღნიშნულია, რომ აკეთებენ შემაჯამებელი დავალებები და კვლევის ანალიზს. ზოგიერთ საგნობერივ კათედრას (მნაგ: საზოგადოებრივი მეცნიერების)არ აქვს სადიაგნოსტიკო წერის გამოცდილება, მაგრამ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახლო მომავალში გეგმავენ განხორციელებას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელება საშუალებას იძლევა იმის დანახვისა, თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და წარმოადგენს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის დასაყრდენს.**ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დებულების მიხედვით იცავენ

დოკუმენტაციის შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შემაჯამებელი სამუშაოები ინახება მატერიალური მტკიცებულებების სახით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის VII – IX კლასის საგნობრივი კურიკულუმები
- გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 .სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 .უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ურთიერთდასწრების საფუძველზე კათედრის ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენებას ეფუძნება. მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს,

გამოკვეთენ სასწავლო პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს.

სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში ქმნის მხარდამჭერ გარემოს, რაც, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა მხრიდან, მიმღებლობისა და თანამშრომლობის ხარისხს აუმჯობესებს. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს არფორმალური განათლება (მაგ, მკითხველთა კლუბი) . პედაგოგები გეგმავენ წინასწარ კარგად შეისწავლონ მოსწავლის საჭიროებები, შეხვდნენ მშობლებს და დაადგინონ მათი და მათი შვილების ფსიქოემოციური მდგომარეობა და გაითვალისწინონ სწავლა- სწვლების პროცესში. სასწავლო პროცესის შუაგულში დგას მოსწავლე და მისი ინტერესები, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. იგრძნობა, რომ სკოლაში ჯანსაღი , მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოა. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები.

მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი განსაზღვრონ, თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საუკეთესო საშუალებად ხედავს კომპლექსური ბუნების დავალებებს,, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა,, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, შერჩეული თემები და საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და მოსწავლეზეა ორიენტირებული, თანდართული კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღრმისეული გააზრების, პროგრესის საშუალებით. ფასდება მოსწავლის წინსვლა, სად იყო და სად მივიდა და არა მის მიერ საგანზე დახარჯული დრო.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზეა ორიენტირებული და მორგებულია მის ინტერესსა და საჭიროებას. სკოლაში იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. ►კოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის რეგულაციები. ►ხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვას ახლო მომავალში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი მეტად მოქნილი გახდეს.

მასწავლებლების აღნიშვნით, სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით.

ამგვარად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სასკოლო პროექტებზე, კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

3 .სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, შეფასების ფორმების ერთობლივი დაგეგმვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. კომპლექსური დავალების განხორცილება საკლასო ოთახში ქმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. ჩანს მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილები და კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროექტები, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლაში შექმნილია ხარისხის

განვითარების ჯგუფი, ჯგუფის წევრები პერიოდულად ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და აანალიზებენ სასწავლო პროცესს, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ სხვა კოლეგების პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე. კათედრებზე ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ახორციელებენ აქტივობებს, აანალიზებენ შესრულებულ სამუშაოს , ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მასწავლებლები სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სასკოლო პოზიტიური გარემო, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის ეზოს გამწვანებასა და კეთილმოწყობაში, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ ღონისძიებებში. კლასის დამრიგებლების მიერ ტარდება სხვადასხვა აღმზრდელობითი საუბრები, ტარდება ღონისძიებები მშობლების აქტიური ჩართულობით.

პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მუდმივად ხორციელდება მრავალფეროვანი და საინტერესო სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, შემეცნებითი ვიზიტები და ექსკურსიები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ასევე სკოლას ყავს თვითმმართველობა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა იყენებს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფაქტორებს, კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისებას მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებს, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს და სხვა.

თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, პედაგოგები ფორმალურ განათლებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არაფორმალურ განათლებასაც, ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც ხალისით მონაწილეობენ მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .საბაზო საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები.
- საბაზო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის VII-IX კლასების კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.
- ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- განხორციელებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მეშვეობით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის, შეფასების და რევიზიის ეტაპები. დოკუმენტში განსაზღვრულია მასწავლებლის როლი, რომელმაც უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, კათედრის თავმჯდომარის ვალდებულება, რომელმაც უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით უმნიშვნელოვანესია სკოლის დირექციის ფუნქცია, რომ უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს - ფასილიტაცია გაუწიოს და გაამთლიანოს კათედრების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში ვიზიტისა და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარების ჯგუფი ურთიერთდასწრებას ახორციელებს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.კათედრის სხდომებსა და შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, აზრსა და იდეებს კომპლექსური დავალებების უკეთ დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის მონიტორინგი აუცილებელია და საჭიროა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ისინი მიღწევების ანალიზისა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სამომავლო საქმიანობას. კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება მაქსიმალურად იქნება მიმართული სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებისკენ. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას იდენტიფიცირებული იქნება მიღწევები და პრობლემები, მოხდება მათი შეფასება/ანალიზი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია - პროცესის განხორციელების მექანიზმი გაწერილი არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება როგორ განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. საგნობრივ კათედრებზე და მთლიანად სკოლაში იგეგმება, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისთვის შეიმუშაონ და გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მისცემთ მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია;
- განხორციელებული შეფასების ანალიზი.

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი

..

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმომოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საწავლო პროცესის შეფასება ეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით: საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესაც და პედაგოგსაც აძლევს ინფორმაციას სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც თავის მხრივ მასწავლებელს უადვილებს, რომ დაინახოს მოსწავლის საჭიროებები და პროგრესი, ხოლო მოსწავლეს კი აძლევს იმის საშუალებას, გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ყველაზე უფრო ხშირად - ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრების (დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრების მიერ), ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას.მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. რათა სასწავლო პროცესის შეფასება გახდეს უფრო ინფორმაციული, უფრო ეფექტური, სკოლის დირექცია სამომავლოდ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას, დახვეწას და შესაბამისი დოკუმენტების უფრო სრულყოფილად და ხარისხიანად მომზადებას.

ინდიკატორი 2.3.2.1.დაკმაყოფილებულია

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლას აქვს გამოცდილება, შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აკვირდებიან გარემო ფაქტორების გავლენას მიღებულ შედეგებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების მნიშვნელობა. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია: „სკოლაში ხორციელდება საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების შეფასება, მომავალში სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარებას“.

მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია, ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას ესენია: მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო, ურთრიერთობები თანატოლებთან, ქცევები სოციუმში., არაფორმალურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვა

წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებს ახლავს ახლავს შეფასების ფორმები (მათ შორის - სოლოტაქსონომია). წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას ითვალისწინებენ საკლასო და საშინაო დავალებებს. შეგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეთა მიღწევებისა და, საზოგადოდ, სასკოლო ცხოვრების გამუჯობესებისათვის. ამავე დროს სკოლა გამოხატავს მზაობას, უფრო მეტად დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შეფასება - ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასებისთვის მონაცემთა შეეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისა. მასწავლებები იყენებენ მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. მოგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გასაუმუჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, , ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საშინაო და საკლასო დავალებები. მომავალში იგეგმება სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება. შეფასებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა , ამ პროცესის დროს მოსწავლეებზე დაკვირვება და მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი.

სკოლის მიერ ხდება შემდეგი მეთოდების გამოყენება: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია,) გამოყენებით. **ინდიკატორი 2.3.2.3.დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა და ა.შ. **ინდიკატორი 2.3.2.4.დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- განხორცილებებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა; ინტერვიუ კათედრის წევრებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ანუ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია იწყება - ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით კათედრის წევრები, მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადგენენ პრობლემას და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გაწერენ რეკომენდაციათა პაკეტს, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. უნდა აღინიშნოს, სკოლას ამ მხრივ არ აქვს გამოცდილება, რადგან წინა წლებში შემუშავებული ჰქონდა თემატური გეგმები. როგორც კათედრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად სკოლა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს პროცესების რეფლექსიას, მიღწეული შედეგების აღწერას და წერილობითი სახით წარმოადგენს რეფლექსიის შედეგებს, რომელიც გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მექანიზმები თუ როგორ მოხდება კურიკულუმის რევიზია, მონაცემების შეგროვება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესწავლა. **ინდიკატორი 2.4.1.1 - დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლამ წელს პირველად შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შედარებით გამართული დოკუმენტია, მისი შექმნა მოხდა ქოუჩინგის პროცესში და სასწავლო წლის დაწყებამდე მოიყვანეს შესაბამისობაში მოთხოვნებთან. სკოლას აქვს მზაობა, მომავალში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებაზე, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები, დასახოს გადაჭრის გზები. **ინდიკატორი 2.4.1.2 - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება - საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი და ჩამოთვლილია პასუხისმგებელი პირების - კათედრის წევრების (საგნის მასწავლებლების), კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქციები. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება, თემებზე, მიზნებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე შეთანხმება ხდება კათედრაზე და კათედრის თავმჯდომარე დათქმულ ვადაში დირექციას წარუდგენს კათედრის შეხვედრებზე შეთანხმებულ მასალებს. დოკუმენტის გაანალიზებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავება მოხდა განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. მოაწყვეს მშობელთა კრებები, სადაც გააცნეს სიახლეები (კომპლექსური დავალებები). მშობლთა ინფორმირების მიზნით ჩატარდა მშობელთა კრებები - გააცნეს სიახლეები და მომავალში გეგმავენ მშობლის ბარათის მიწოდებასაც. დოკუმენტში ჩამოთვლილია თუ რა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება (სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები და სხვა) . მოცემულ დოკუმენტში სასურველია დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობის გზები (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები). **ინდიკატორი 2.1.1.1 - დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კათედრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, საშუალო საფეხურის X – XI კლასის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს. როგორც ინტერვიუში

აღნიშნეს, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების, ანალიზის, მოსწავლეთა უკუკავშირისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მოხდა ახალი კურიკულუმის შემუშავება. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას. **ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, შუალედური მიზნების სახით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. თანხმდებიან სწავლა - სწავლების პროცესში დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭირო სტრატეგიებზე, მეთოდებსა და რესურსებზე. კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა გამოიხატება მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ხოლო მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო თუ საგანმანათლებლო პროექტებში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მათი ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3 - დაკმაყოფილებულია**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია და ჩამოთვლილია ყველა საკომუნიკაციო არხი, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის გაზიარება, რათა იგი საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადობის ნებისმიერი წევრისთვის (მაგ: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერზე, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები). თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ X - XI კლასის საგნობრივი კურიკულუმების განხილვა და გაანალიზება ხდება კათედრაზე, მშობლების ინფორმირებისთვის კი გამოიყენეს მშობელთა კრება. მომავალში იგეგმება მშობლის ბარათის გამოყენებასაც. სკოლას აქვს თავისი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ში, რომელშიც პერიოდულად განათავსებს სკოლაში განხორციელებულ აქტივობების ამსახველ მასალებს. https://www.facebook.com/profile.php?id=100041453845705
სკოლა EMIS-ის მიერ შექმნილ ვებგვერდზე აქტიურ მუშაობას მიმდინარე სასწავლო წლიდან განახორციელებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კათედრების სხდომების ოქმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბასმისად). კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ

მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები და საჭირო რესურსები. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, დავალებების შერჩევა მოხდა კათედრებზე მოსწავლეთა მზაობის, ინტერესების, საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას.

მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობა გაგრძელდება და უფრო დაიხვეწება.

საშუალო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის საგნების (ხელოვნება, მუსიკა) პროექტული სწავლების კურიკულუმებში ამოიკითხება, რომ კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას. სასწავლო პროცესში წარმოდგენილი პროექტის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

საბუნებისმეტყველო საგნებში XI კლასის კურიკულუმი არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილი შეივსოს სრულყოფილად.

მათემატიკაში სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის, მე-10-11 კლასების კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, თუმცა არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, რაც იქნებოდა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. გაწერილია მრავალფეროვანი რესურსები მხოლოდ იმ თემებისათვის სადაც კომპლექსურია დაგეგმილი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ დააკავშირონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებთან, გამოკვეთეს ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელსაც თავად მოსწავლე აწარმოებს. შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად კათედრა განიხილავს კომპლექსურ დავალებებს, რაც ასევე ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

რჩევა: მათემატიკის კურიკულუმებში სასწავლო რესურსები გავწეროთ ყველა თემის შესაბამისად, სასურველია მრავალფეროვნება მაგალითად გრიფირებული სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ელ, რესურები და ა.შ... რაც მოგვცემს საშუალებას სასწავლო პროცესი მეტად გავხადოთ ორიენტირებული მოსწავლეზე. მოვიძიოთ მაგალითები შედარებისთვის და შევავსოთ შესაბამისი სვეტი კურიკულუმის ჩარჩოში, რადგან მოსწავლემ შეძლოს შესწავლილი მასალის განზოგადება განსხვავებულ კონტექსტშიც

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმებში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელზე მუშაობის პროცესშიც მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფური მუშაობის, პროექტებზე მუშაობის დროს), პროცესის ბოლოს კი უწევს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა, შერჩეული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეებს კომპონენტური უნარების განვითარებაში. მოსწავლეს მოუწევს ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს. გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოცემულია დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგები, გლობალური ფუნქციური უნარები(პროექტული სწავლება), მაკრო ცნებები (კვლევაზე დაფუძნებული სწავლება), გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები და შედეგები (კომპლექსური დავალება). წარმოდგენილი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და შეფასების რუბრიკების განალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს, ფუნქციურ უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს.

მუსიკისა და ხელოვნების პროექტული სწავლების საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის შემუშავებული, ჩანს, რომ სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, ასევე, მკვიდრი წარმოდგენები სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები. პროექტში შემავალი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით ხდება გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაც, რასაც ასევე ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლება სხვადასხვა პროექტების მეშვეობით: საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება, წითელი წიგნი და წითელი ნუსხა და ა>შ.

სასურველია ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში განახორციელონ ექსპერიმენტები, განახორციელონ კვლევითი ტიპის დავალებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვის და ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მოახდინონ დიფერენცირება შინაარსის, პროცესის, პროდუქტების მიხედვით რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, დავალების მატრიცა შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაცია, სადაც ასახულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროგრამა. ასევე, სკოლაში შექმნილია ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც შედიან სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი. აგრეთვე, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ. მათთვის შექმნილია უსაფრთხო და ადაპტირებული გარემო.

უცხოური ენების კურიკულუმში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები; კურიკულუმი დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ყავს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. შეფასების რუბრიკები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასებისა ურთიერთშეფასების რუბრიკებს. მოსწავლეები წინასწარ ინფორმირებული არიან შეფასების რუბრიკების შესახებ. შეფასების რუბრიკები დგება საგნობრივ კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით და შეთანხმებით. წარმოდგენილია თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების, ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასებისა ურთიერთშეფასების რუბრიკები.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

განმავითარებელი შეფასებების სახეებიდან განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ზეპირ და წერილობით განმავითარებელ კომენტარებს. ამ რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა და მოსწავლემ მიღონ ინფორმაცია სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ: რამდენად ეფექტურია დაგეგმილი აქტივობები მოსწავლის წინსვლის ხელშესაწყობად; რამდენად ახერხებს მოსწავლე შეძენილ ცოდნათა ეფექტურად გამოყენებას მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, რამდენად აცნობიერებს თავის ძლიერ და სუსტ მხარაეებს და ა.შ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) და ჩატარებული ინტერვიუდან ირკვევა, რომ კათედრებზე ხდება სწავლა - სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, რის საფუძველზეც კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მომავალშიც მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდება კურიკულუმის გადამუშავება.

სკოლის სურვილი და მზაობაა მთლიანად ჩაერთოს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესებში, დააგროვოს შესაბამისი გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებს მომდენო სასწავლო წელს კურიკულუმის შემუშავებისათვის.
ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებამ და ურთიერთგაზიარებამ. მასწავლებელთა თქმით, ამ პროცესს უფრო აქტიურს გახდიან მომდევნო სასწავლო წლისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, უფრო კარგად დაინახონ მოსწავლეთა საჭიროებები და უფრო დახვეწონ მომავალი წლის კურიკულუმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- პროექტის შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი იძელვა მოწავლის აქტიურ შემოქმდებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საშუალო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრაზე, X- XI კლასებში სწავლა - სწავლების პროცესი წარიმართება კომპლექსური დავალებებით, რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეებს განუვითარონ შემოქმედებითი და სხვა მაღალი სააზროვნო უნარები. კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარებული გამოფენები, კონფერენცია, როლური თამაშები, არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური ტიპის დავალებებით სწავლების გამოცდილება, ასევე სასწავლო პროექტების ფარგლებში შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტები. მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა სასწავლო პროექტები, რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის

შინაგანი მოტივაცია. საგნებში საქართველოს ისტორია, ისტორია, მოქალაქეობა და გეოგრაფიაში შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **უცხოური ენების** კათედრის მიერ დაგეგმილი და დაწერილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლი ქმნის გარემოს სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **ესთეტიკური აღზრდაში** ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროექტის თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, მოსწავლეთა მიერ შესაქმნელი პროდუქტი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **სახელმწიფო ენის** კათდრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, ასევე ინტერვიუს დროს გამოთქმული მზაობა მასწავლებლებისა, რომ ასეთ დავალებებს ყველა კლასში დაგეგმავენ და განახორციელებენ, გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში, რადგანაც კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელება გულისხმობს მოსწავლის აქტიურობით, მოსწავლის ძალისხმევით შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს. ესაა დავალება, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის სემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გააქტიურება. მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას, ხელს უწყობს, რომ ყოველ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ აქტივობის განხრციელებაში, თავისი მზაობისა და შესაძლებლობების ფარგლებში. (**სახელმწიფო ენა რჩევა: მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში მიეთითოს კომპლექსური ბუნების დავალებები**). **მათემატიკის** კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, თუმცა გამოთქვეს მზაობა შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომპლექსური დავალებებით მუშაობას, რაც თავისთავად წარმოადგენს სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. შერჩეული და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების განხილვისას გამოიკვეთა, რომ კათედრა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე აღინიშნა მოსწავლეების მაღალ ჩართულობა სასკოლო პროექტებში და საკლუბო აქტივობები რაც აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ შეძლონ გამოწვევების მიღება, ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და მაღალი თვითეფექტიანობა. **სპორტის** კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ჩატარდა

და სამომავლოდაც იგეგმება სპორტული ფესტივალები, რომელშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. სასკოლო სპორტული ფესტივალები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წარმოდგენილი **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საგნების კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები შერჩეულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას ნაცნობი პრობლემის გადაჭრას და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. **საზოგადოებრივი მეცნიერებებ**ის კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგნებში საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგან საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის კურიკულუმები, სადაც ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში და ახორციელებენ სკოლისათვის და თემისთვის მნიშვნელოვან პროექტებს. **უცხოურ ენებში** სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური დავალებების პირობა ფორმულირებულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. **ესთეტიკურ აღზრდაში** საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმებში შემავალი თემები და საკითხები, ასევე საკითხის შიგნით მოცემული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის, ახალი ცოდნის მიიღება წინარე ცოდნის *გათვალისწინებით ხდება.* სკოლის თვითშეფასების

განაცხადში აღნიშნულია, რომ ცოდნის კონსტრიურებას სკოლა ახდენს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: ხარაჩოს მეთოდი, ინტერაქტიული მეთოდები, ითვალისწინებენ მოსწალის შესაძლებლობებსა და ინტერესებს, აქტიურად მიმდინარეობს პროექტებით სწავლება, რომელიც სხვადასხვა პრობლემაზეა ორიენტირებული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, გარემოს დაცვა). **სახელმწიფო ენა** ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კომპლექსური ბუნების დავალება - ესაა ისეთი დავალება, რომლებიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თავად ააგოს ცოდნა, წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. თავად სიტყვა "კომპლექსური" მიუთითებს, რომ ამ ტიპის დავალების განხორციელება მრავალი მიმართულების ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით შეიძლება . ეს იქნება ტექსტის გაგება-გააზრება, გრამატიკული საკითხები, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისდა სხვა. ამ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით და წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. ინტერვიუების დროს მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ და მეტ დროს დაუთმობენ წინარე ცოდნის გასააქტიურებელ აქტივობებს, რათა ხელი უკეთ შეუწყონ მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების პროცესს. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის **მათემატიკის** კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ეტაპებიც გაწერილია ისე, რომ მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს მზაობა სწავლების კონსტრუქტივისტული მოდელით წარმართვის შესახებ და გამოკვეთეს, რომ ყოველი ახალი გაკვეთილი იგეგმება წინარე ცოდნის გააქტიურებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, კითხვა-პასუხი, მარტივი ქვიზი და ა.შ... **სპორტის** კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლის ცოდნის კონსტრიურება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას. ამას ცხადყოფს საკითხების და ქვესაკითხების თანამიმდევრობაც. მაგალითად, თუ ხდება ახალი მოძრაობის შესწავლა, შემდეგ ამ მოძრაობის დახვეწას და სრულყოფას ახდენს მასწავლებელი და მხოლოდ ამის შემდეგ უზრუნველყოფს უფრო რთული მოძრაობის სწავლებას. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ სწავლის სწავლას (მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას). კომპლექსური დავალების მატრიცასა და წარმოდგენილ შეფასების რუბრიკაში მოცემულია კითხვები, რომლებიც მიმართულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. ინტერვიუში აღინიშნა, რომ მომავალშიც სწავლების პროცესში დიდი ყურადღება მიექცევა სწავლის სტრატეგიების განვითარებას. **საზოგადოებრივი**

მეცნიერებები კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მომავალში, კურიკულუმის დახვეწასთან ერთად მასწავლებლები მეტად აქტიურად გამოიყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ურთიერთშეფასების ბარათებს. **უცხოური ენების** საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან. რაც გულისხმობს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, ა) კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ბ) სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. გ) მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. დ) წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). **ესთეტიკურ აღზრდაში** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. როგორც მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. იგი მისცემს მოსწავლეს საშუალებას, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე და მისთვის ყველაზე მოსახერხებელ გზებს მიაგნოს. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თვითანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. მნიშვნელოვანია მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე, სტრატეგიებზე, რომელსაც გამოიყენებენ პროექტზე მუშაობის პროცესში, შესრულების შემდეგ კი, იმსჯელონ რა ნაბიჯები გადადგეს, რას შეცვლიდნენ ახლიდან რომ აკეთებდნენ დავალებას და ა.შ. **სახელმწიფო ენა** სწავლის სწავლა" - ერთერთია იმ ხუთი საგანმანათლებლო პრინციპიდან, რომლებსაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. ეს კი გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ გაკეთებულ მეტაგონიციას - რა გავაკეთე, რა ნაბიჯები გადავდგი, რა სტრატეგიები და ხერხები გამოვიყენე იმისთვის, რომ ესა თუ ის აქტივობა, დავალება შემესრულებინა. სწავლის სწავლა აგრეთვე მოიაზრებს იმის გააზრებასაც, თუ როგორ შეიძლება შესრულებული ნამუშევრის გაუმჯობესება კრიტერიუმების გამოყენებით. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებებზე

დართული რეფლექსიური შეკითხვები მოსწავლის თვითშეფასების უნარის გასაუმჯობესებლად და წინსვლის ხელშესაწყობად. მაგალითად, ასეთი შეკითხვებია: რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესრულებისას? რომელი სტრატეგიები გამოიყენე? რა გამოგივიდა კარგად? რა გაგიძნელდა და რატომ? რას შეცვლიდი, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და სხვა. **მათემატიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს..., ასევე აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას. კათედრას მიჩნია, რომ კომპლექსური დავალების შემდგომ მოსწავლის რეფლესია კარგი საშუალება იქნება მეტაკოგნიციის განვითარებისთვის. **სპორტში** სწავლის პროცესი ორიენტირებულია, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ გაიუმჯობესონ ფიზიკური თვისებები, არამედ მიიღონ ცოდნა სპორტის სახეობების ისტორიის და წესების შესახებ, გააცნობიერონ და გაითავისონ ჯანსაღი ცხოვრების წესი. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომ წაახალისოს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ამან უნდა დააფიქროს მოსწავლე სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია, რაც უბიძგებს მოსწავლეს შინაგანი მოტივაციის გაზრდისკენ. მოსწავლე ჩართულია სპორტულ აქტივობებში და ეს მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** კათედრის წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში, თემების მიხედვით შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მოხდეს ორიენტირება. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებებში** ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმნტში ნათლადაა აღნიშნული, რომ კომპლექსურ დავალებებების მომავალში უფრო მეტი ინტენსივობით განხორცილდება. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება **უცხოური ენების** საშუალო საფეხურის საგნობრივ პროგრამაში. სასწავლო პროცესში მოსწავლე

დაამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. გაეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), დასვამს და უპასუხებს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მოსწავლე ასევე შეიმუშავებს მოქმედების წესებს და ალგორითმებს და შეასრულებს მას, შეძლებს ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამოიმუშაოს გარკვეული უნარები. მაგალითად ტექსტის დამუშავებისას იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. (უცხოური ენების **რჩევა: შეარჩიეთ ისეთი აქტივობები მარტივიდან რთულისკენ რომლებიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგ: multiple-choice questions- არჩევით პასუხიანი კითხვები, true/false - ჭეშმარიტია მცდარია წინადადებები, gap fill - წინადადებაში გამოტოვებული ადგილას სიტყვის ჩასმა, finish the sentence with your own words - დაასრულე წინადადება საკუთარი სიტყვებით, answer the questions - უპასუხე შეკითხვებს, აღწერე სურათი და ა.შ.**)**ესთეტიკური აღზრდაში** ხელოვნებისა და მუსიკის საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებსა და კომპლექსურ დავალებების პირობებში, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე, რადგან პროექტები და მატში შემავალი კომპლექსური დავალებები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეთა მხრიდან მათი შესრულება ითვალისწინებს ამ ცოდნათა დაუფლებას. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას ახალ სასწავლო წელს მეტი ინტენსივობით იმუშაონ მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გაღრმავებაზე. **სახელმწიფო ენის** კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, სავარჯიშოები, შეკითხვები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - საბოლოო პროდუქტი. **მათემატიკის** კათედრას ყველა კლასში დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელთა შესრულების პროცესი მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებზე მუშაობისა, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს, როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნა და რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გადაწყვეტის მოძებნა. **სპორტში** კურიკულუმებს თან ერთვის რესურსები, რომლებიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, რომ შეიძინონ ფაქტობრივი ცოდნა - დეკლარაციული ცოდნა. კომპლექსური დავალების შესრულების სხვადსხვა ეტაპზე,

მოსწავლე გამოიმუშავებს პროცედურულ ცოდნას. ბოლოს, დავალების შესრულებისას, ცოდნის მოქმედებაში გადატანა ხდება და გამოყენება კონკრეტულ მოცემულობაში - პირობისეული ცოდნა. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** წარმოდგენილი კურიკულუმიდან და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნიათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შერჩეული თემები, კომპლექსური დავალებები, კათედრაზე განხორციელებული პროექტები იძლევა საშუალებას მოხდეს საგნების ურთიერთდაკავშირებულად სწავლება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, საგნებში საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია და მოალაქეობა წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის საზოგადოებრივი კათედრას საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების დანერგვის და განხორციელების მზაობა. **უცხოური ენების** საგნობრივი კურიკულუმი, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემა ეს არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ესთეტიკური აღზრდის** კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ხელოვნებისა და მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმებში, ასევე კომპლექსურ დავალებების იდეა/პირობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. სკოლის თვითშეფასების განაცხადში ღნიშნულია, რომ ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას სკოლა უზრუნველყოფს ინტეგრირებული გაკვეთილებითა და პროექტებით, მომავალში აპირებს შექმნან მოსწავლეთა სრულყოფილი პორტფოლიო. **სახელმწიფო ენაში** წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსური ბუნების დავალების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, სავარჯიშოები, შეკითხვები ისე უნდა შეირჩეს, რომ დეკლარაციული ცოდნა თანდათან გადავიდეს

ჯერ პროცედურულ, შემდეგ კი პირობისეულ ცოდნაში. დავალების განხორციელება კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ სამი კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებით შეიქმნას მიზნობრივი მთლიანობა - კომპლექსური ბუნების დავალების საბოლოო პროდუქტი. **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, სკოლის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ინტერვიუს დროს ხაზგასმული თანამშრომლობა კათედრებს შორის ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. **სპორტში** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალების შესრულება მოსწავლისგან მოითხოვს მისი გამოცდილებისა და ცოდნათა მობილიზებას, რაც ცოდნათა ორგანიზებას უწყობს ხელს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები გეგმავენ სხვა საგანთან ინტეგრირებით გაკვეთილებს და ამით ცდილობენ ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. X – XI კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. შერჩეული კომპლექსური დავალებები კი ხელს უწყობს სამიზნე ცნების და მასთან დაკავშრებული მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასა და დამუშავებას. უნდა აღინიშნოს XI კლასის კურიკულუმი საბუნებისმეტყველო საგნებში არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას, აღნიშნულის შესახებ საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუების დროს სკოლამ მიიღო რჩევა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გაცნობიერებლი სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებს, საგნობრივ საკითხებს და სასწავლო რესურსებს შორის. საშუალო საფეხურზე სხვადასხვა საგნის მიხედვით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხების მრავალმხრივ გააზრებისაკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

კურიკულუმების ცხრილში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გაანალიზებისა და ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცმეული საკითხები მოსწავლეებისთვის არ არის რთულად აღსაქმელი, თითოეული დაკავშრებულია ნაცნობ კონტექსტთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშრებულ მოვლენებთან. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში

კომპლექსურ დავალებებსა და სხვა არაფორმალური აქტივობებზე მუშაობის პორცესი ხელს უწყობენ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაონ გუნდურად, გაუმკლავდნენ კონფლიქტებს, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ამოიცნონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, მართონ ემოციები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაანალიზებისა და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. თემის ინდიკატორების და სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად, შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებისათვის იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს მიმართავენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. კათედრა სამომავლოდ გეგმავს შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად ორიენტირებული მოსწავლეთა ინტერესებსა და შეხედულებებზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სკოლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივად შემუშავებული არის რუბრიკები, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. ასევე, ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების განხილვისა შედეგად გამოიკვეთა - მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური. კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში

დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლას გააზრებული აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების სისტემის მნიშვნელობა. კათედრების წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები დაეყრდნობა დავალების პირობას და შესაბამისი იქნება სასწავლო მიზნებთან მიმართებებით. აგრეთვე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება რომ სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრაზე ამას ახორციელებენ: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციით (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა), შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (შეფასების რუბრიკით მოსწავლის ნამუშევრის ხელმეორედ შეფასება) და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოს, კომპლექსური დავალებების და სხვა) ვერიფიკაცია. ყავს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხიმგებელი პირი - დირექტორი, თუმცა სხვა პირების პასუხისმგებლობები დოკუმენტში გაწერილი არაა. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესი, თუმცა სასურველია კონკრეტულად დეტალურად იყოს გაწერილი მექანიზმი და პროცესი . ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სკოლას არ აქვს შეფასების ვერიფიკაციის გამოცდილება. შემუშავებული მექნიზმის მიხედვით ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის თვითშეფასების დოკუმნტში აღნიშნულია, რომ ანგარიშებს ამზადებენ შემაჯამებელი დავალებებისას. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კათედრა ინახავს შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და სხვა მტკიცებულებებს რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში

ხაზგასმულია, რომ დებულების მიხედვით იცავენ დოკუმენტაციის შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შემაჯამებელი სამუშაოები ინახება მატერიალური მტკიცებულებების სახით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პროექტის შეფასების რუბრიკები.
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- სკოლის მიერ მოწოდებული ანგარიში, ოქმი, ფოტო მასალა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ურთიერთდასწრების საფუძველზე კათედრის ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენებას ეფუძნება.

მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, გამოკვეთენ სასწავლო პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს.

სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში ქმნის მხარდამჭერ გარემოს, რაც, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა მხრიდან, მიმღებლობისა და თანამშრომლობის ხარისხს აუმჯობესებს. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს არფორმალური განათლება (მაგ, მკითხველთა კლუბი) . პედაგოგები გეგმავენ წინასწარ კარგად შეისწავლონ მოსწავლის საჭიროებები, შეხვდნენ მშობლებს და დაადგინონ მათი და მათი შვილების ფსიქოემოციური მდგომარეობა და გაითვალისწინონ სწავლა- სწვლების პროცესში. სასწავლო პროცესის შუაგულში დგას მოსწავლე და მისი ინტერესები, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. იგრძნობა, რომ სკოლაში ჯანსაღი , მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოა. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები.

მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი განსაზღვრონ, თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საუკეთესო საშუალებად ხედავს კომპლექსური ბუნების დავალებებს,, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა,, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, შერჩეული თემები და საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და მოსწავლეზეა ორიენტირებული, თანდართული კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღრმისეული გააზრების, პროგრესის საშუალებით. ფასდება მოსწავლის წინსვლა, სად იყო და სად მივიდა და არა მის მიერ საგანზე დახარჯული დრო.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზეა ორიენტირებული და მორგებულია მის ინტერესსა და საჭიროებას. სკოლაში იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. ►კოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის რეგულაციები. ►ხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვას ახლო მომავალში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი მეტად მოქნილი გახდეს.

მასწავლებლების აღნიშვნით, სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით.

ამგვარად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სასკოლო პროექტებზე, კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, შეფასების ფორმების ერთობლივი დაგეგმვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. კომპლექსური დავალების განხორცილება საკლასო ოთახში ქმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. ჩანს მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილები და კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროექტები, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, ჯგუფის წევრები პერიოდულად ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და აანალიზებენ სასწავლო

პროცესს, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ სხვა კოლეგების პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე. კათედრებზე ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ახორციელებენ აქტივობებს, აანალიზებენ შესრულებულ სამუშაოს , ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მასწავლებლები სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სასკოლო პოზიტიური გარემო, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის ეზოს გამწვანებასა და კეთილმოწყობაში, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ ღონისძიებებში. კლასის დამრიგებლების მიერ ტარდება სხვადასხვა აღმზრდელობითი საუბრები, ტარდება ღონისძიებები მშობლების აქტიური ჩართულობით.

პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მუდმივად ხორციელდება მრავალფეროვანი და საინტერესო სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, შემეცნებითი ვიზიტები და ექსკურსიები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები, ასევე სკოლას ყავს თვითმმართველობა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა იყენებს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფაქტორებს, კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისებას მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებს, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას, მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს და სხვა.

თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის

ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, პედაგოგები ფორმალურ განათლებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არაფორმალურ განათლებასაც, ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც ხალისით მონაწილეობენ მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის საგნიბრივი** კურიკულუმები;
- პროექტის შეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.
- საქართველოს ისტორიის, ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სსიპ ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მეშვეობით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის, შეფასების და რევიზიის ეტაპები. დოკუმენტში განსაზღვრულია მასწავლებლის როლი, რომელმაც უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, კათედრის თავმჯდომარის ვალდებულება, რომელმაც უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით უმნიშვნელოვანესია სკოლის დირექციის ფუნქცია, რომ უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს - ფასილიტაცია გაუწიოს და გაამთლიანოს კათედრების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლაში ვიზიტისა და საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარების ჯგუფი ურთიერთდასწრებას ახორციელებს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. კათედრის სხდომებსა და შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, აზრსა და იდეებს კომპლექსური დავალებების უკეთ დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ წევრ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ

კურიკულუმის მონიტორინგი აუცილებელია და საჭიროა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ისინი მიღწევების ანალიზისა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სამომავლო საქმიანობას. კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება მაქსიმალურად იქნება მიმართული სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებისკენ. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას იდენტიფიცირებული იქნება მიღწევები და პრობლემები, მოხდება მათი შეფასება/ანალიზი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია - პროცესის განხორციელების მექანიზმი გაწერილი არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისთვის შეიმუშაონ და გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მისცემთ მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია;
- განხორციელებული შეფასების ანალიზი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

- განხორციელებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა;
- ინტერვიუ საგნობრივ კათედრებთან

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმომოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საწავლო პროცესის შეფასება ეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით: საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესაც და პედაგოგსაც აძლევს ინფორმაციას სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც თავის მხრივ მასწავლებელს უადვილებს, რომ დაინახოს მოსწავლის საჭიროებები და პროგრესი, ხოლო მოსწავლეს კი აძლევს იმის საშუალებას, გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ყველაზე უფრო ხშირად - ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრების (დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრების მიერ), ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას.

მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. რათა სასწავლო პროცესის შეფასება გახდეს უფრო ინფორმაციული, უფრო ეფექტური, სკოლის დირექცია სამომავლოდ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას, დახვეწას და შესაბამისი დოკუმენტების უფრო სრულყოფილად და ხარისხიანად მომზადებას. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლას აქვს გამოცდილება, შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აკვირდებიან გარემო ფაქტორების გავლენას მიღებულ შედეგებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების მნიშვნელობა. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია: „სკოლაში ხორციელდება საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების შეფასება, მომავალში სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარებას“.
მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია, ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას ესენია: მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო, ურთრიერთობები თანატოლებთან, ქცევები სოციუმში., არაფორმალურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვა
წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებს ახლავს ახლავს შეფასების ფორმები (მათ შორის - სოლოტაქსონომია). წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას ითვალისწინებენ საკლასო და საშინაო დავალებებს. შეგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეთა მიღწევებისა და, საზოგადოდ, სასკოლო ცხოვრების გამუჯობესებისათვის. ამავე დროს სკოლა გამოხატავს მზაობას, უფრო მეტად დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას.

ინდიკატორი2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შეფასება - ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასებისთვის მონაცემთა შეეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისა. მასწავლებები იყენებენ მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. მოგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გასაუმუჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, , ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საშინაო და საკლასო დავალებები. მომავალში ეგეგმება სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება. შეფასებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა , ამ პროცესის დროს მოსწავლეებზე დაკვირვება და მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი.
სკოლის მიერ ხდება შემდეგი მეთოდების გამოყენება: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია,) გამოყენებით.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა და ა.შ.

ინდიკატორი2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია;
- განხორციელებული შეფასების ანალიზი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განხორცილებებული პროექტების ფოტომასალა და რეფლექსია;
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა;
- ინტერვიუ საგნობრივ კათედრებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, ანუ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია იწყება - ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით კათედრის წევრები, მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადგენენ პრობლემას და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გაწერენ რეკომენდაციათა პაკეტს, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. უნდა აღინიშნოს, სკოლას ამ მხრივ არ აქვს გამოცდილება, რადგან წინა წლებში შემუშავებული ჰქონდა თემატური გეგმები. როგორც კათედრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა,

კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად სკოლა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს პროცესების რეფლექსიას, მიღწეული შედეგების აღწერას და წერილობითი სახით წარმოადგენს რეფლექსიის შედეგებს, რომელიც გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მექანიზმები თუ როგორ მოხდება კურიკულუმის რევიზია, მონაცემების შეგროვება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესწავლა. ინდიკატორი **2.4.1.1 - დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლამ წელს პირველად შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შედარებით გამართული დოკუმენტია, მისი შექმნა მოხდა ქოუჩინგის პროცესში და სასწავლო წლის დაწყებამდე მოიყვანეს შესაბამისობაში მოთხოვნებთან. სკოლას აქვს მზაობა, მომავალში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებაზე, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები, დასახოს გადაჭრის გზები. **ინდიკატორი 2.4.1.2 - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცი

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი---

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი --

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- -

თარიღი: 09.11..2023წ.